გაზეთი ბოლოს, „ბოლოს“ ერთი

ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№68 (1094) 19 – 20 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სააკაშვილმა გუბერნატორის პოსტზე დანიშვნა ძვირფასი საათის შეძენით აღნიშნა

ექსპრეზიდენტის კოლექციას 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროთი მოვარაყებული „ომეგას“ საათი შეემატა

გვ. 9

„ქმოტი“ მილიონერები

ქველმოქმედება ბიუჯეტის ხარჯზე



რამდენი მილიონერი გვყვავს პარლამენტში და რატომ არ უნდა მივცეთ მათ ხმა 2016 წლის არჩევნებში

გვ. 5

ექსკლუზიური ინტერვიუ შვედეთის ელჩთან

რას ნიშნავს, გქონდეს უფლების უფლება

გვ. 9

გამომცემლებმა განათლების სამინისტროსთან სასამართლო დავა წააგეს

გვ. 6

Facebook-გვერდის „13 ივნისი“ გაუქმების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ვახტანგ გოგელაურმა დავით გაბიტაშვილის ოჯახს მიუსამძიმრა

გვ. 2

„მზიურის“ ტერიტორიაზე საძიებო და გაწმენდითი სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა

რაფომ არ აწუხებთ უბედურების ზონადექცეული ქალაქის ბედი თბილისელების კერპადქცეულ ძმებ გაჩეჩილაძეებს, რაინდ ღევან ვასაძესა და კორკოტას „სახალხო პატრულს“?

გვ. 3

„სად არიან შენი ყოჩი ქამრიანი ბიჭები?!“

„სად, რა დროს აფეთქდება ნაღმი, კაცმა არ იცის“

„ნაციონალური მოძრაობის შემდეგ, საქართველო დანაღმულ ველად იქცა“, — აცხადებს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. მისი თქმით, 13 ივნისის ტრაგედიაში დამნაშავე პირები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. გაჩეჩილაძემ ასევე აღნიშნა, რომ თბილისში დატრიალებულ უბედურებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად წინა ხელისუფლებას ეკისრება: **„პირველ რიგში მინდა მივუსამძიმრო ყველა გარდაცვლილის ოჯახს, იმ ტრაგედიის გამო, რომელიც დატრიალდა. დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რადგან 19 კაცი უკვე გარდაცვლილია და კიდევ რამდენიმეს ეძებენ. 6 კაცი არის გარდაცვლილი სვანიძის ქუჩიდან, დანარჩენი კი ესტაკადაზე. როდესაც კვალიფიკაციაზე და მიდგომებზეა საუბარი, ვიღაცამ უნდა თქვას, რომ ძირითადი მსხვერპლი გამოწვეული იყო სწორედ ამ ესტაკადისა და მდინარე ვერეს ამ უცნაურ, გოფრირებულ მილში მოთავსების გამო“.**

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ნაციონალურ მოძრაობას რომელიმე სპეციალისტისთვის აზრი რომ ეკითხა აუცილებლად გაითვალისწინებდა და მსგავსი უბედურება აღარ დატრიალდებოდა. მან სევე ისაუბრა წინა ხელისუფლების „არასწორ ქმედებებზე“ და ყურადღება გაამახვილა ესტაკადისა და გვირაბების მშენებლობების დროს დაშვებულ შეცდომებზე: „წინა ხელისუფლება თუ რომელიმე სპეციალისტს დაელაპარაკებოდა, იგი ხუთ წუთში ეტყოდა, თუ რა ისტორია აქვს ამ მდინარეს და რა წყალდიდობა შეიძლება გამოიწვიოს. რამდენჯერმე მოხდა უბედური შემთხვევები, თუმცა მსხვერპლი ასეთი მასშტაბის არასოდეს ყოფილა. მთავარია, ვაკე-საბურთალოს გზის ქვეშ კომუნისტების დროს აშენებული გვირაბის წყალგამტარობა არის დაახლოებით 460 კუბური მეტრი, მაგრამ იმ გოფრირებული მილის გამტარიანობა არის 400-ზე ნაკლები. მოვარდნილმა მდინარემ გაჭედა კომუნისტებისდროინდელი გვირაბი და მერე ისიც გაირღვა, რა თქმა უნდა, იმ მცირე დიამეტრის გვირაბმა ეს წყალი ვერ გაატარა და ზევიდან გადავიდა. სწორედ ამ ტალღამ გადაუარა ესტაკადას და ამიტომაც მივიღეთ ასეთი კატასტროფა და მსხვერპლი. პასუხისმგებლობა მთლიანად გადადის წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მშენებლობებზე, რომელიც არამარტო მაგ ტერიტორიაზეა, არამედ საქართველოს მასშტაბით. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რამდენი ნაღმი დაგვხვდება მომავალში. ის კანონმდებლობა, რომელიც გარემოს დაცვაში მოქმედებდა, „მწვანეთა პარტიის“ შექმნილია. კარგად ვიცით, როგორ დაანგრიეს და როგორ გაანადგურეს ეს კანონმდებლობა სწორედ იმ მიზნით, რომ ამდაგვარი მშენებლობები ეწარმოებინათ“.

გაჩეჩილაძე ასევე პროკურატურის როლზეც საუბრობს და ვარაუდობს, რომ წინა ხელისუფლების მიერ „არასწორად ჩადენილი საქმეებით“ პროკურატურა დაინტერესდება: **„მათ გაეპარათ რაღაც-რაღაცები, რასაც ალბათ პროკურატურა მოჰკიდებს ხელს. ჩემს მიერ შედგენილი წყლის კანონის თანახმად, რომელიც 1997 წელს ძალაში შევიდა, არავითარ შემთხვევაში ვერეს ხეობის ნაპირებთან 30 მეტრის ჩათვლით არავითარი მშენებლობის დაწყება არ შეიძლებოდა — ეს კანონი დარღვეულია. ეს გახლავთ კომპლექსური დანაშაული რამაც ამხელა მსხვერპლი გამოიწვია. ფაქტობრივად საქართველო ნაციონალური მოძრაობის შემდეგ იქცა დანაღმულ ველად. სად და რა დროს აფეთქდება ნაღმი, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის. გივი სვანიძის ქუჩაზე სკვერების, ბაღებისა და პარკების გაკეთებას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან, ეს წყალდიდობა შესაძლოა განმეორდეს“.**

ბაჩო ტურაშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრმა დავით გაბიტაშვილის ოჯახს მიუსამძიმრა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის დროს დაღუპული დავით გაბიტაშვილის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა. მინისტრი სულხან ცინცაძის ქუჩაზე ჟურნალისტებმა შემთხვევით დააფიქსირეს.

1975 წელს დაბადებული დავით გაბიტაშვილი სტიქიის შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა, მისი ცხედარი მოხალისეებმა 16 ივლისს „მზიურის“ პარკში იპოვეს.

„ვერსიანიუსი“

Facebook-გვერდის „13 ივნისი“ გაუქმების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა სტიქიის შედეგების აღმოფხვრაზე მომუშავე მოხალისეთა მიერ შექმნილი Facebook-გვერდი „13 ივნისი“ და ამავე ჯგუფის ადმინისტრატორების Facebook-გვერდები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლით, რაც კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას გულისხმობს.

„ვერსიანიუსი“

ილია მეორემ „მზიურის“ ტერიტორიაზე მომუშავე მოხალისეები დალოცა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი „მზიურის“ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც მოხალისეებისა და სამხედრო ნაწილების მიერ ტერიტორიის დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. პატრიარქი, სასულიერო პირებთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს გაეცნო და მოხალისეები დალოცა. პატრიარქს „მზიურის“ ტერიტორიაზე კომენტარი არ გაუკეთებია. იგი ხილიანზე გაემართა, სადაც წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში, სტიქიის შედეგად ერთ-ერთი გარდაცვლილია დასვენებული.

კომენტარი გააკეთა გორისა და ატენის მიტროპოლიტმა, მეუფე ანდრიამ. მეუფემ აღნიშნა, რომ უწმინდესმა რამდენიმე ოჯახს მიუსამძიმრა. ყველა მიცვალებულის ოჯახში გაიგზავნა სასულიერო პირი. ამასთან, საპატრიარქოს წარმომადგენლები, სასულიერო პირები მივიდნენ იმ სასტუმროებში, სადაც სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებია. მიტროპოლიტმა ანდრიამ საუბრისას ასევე განაცხადა, რომ როდესაც მოხდება სტიქიით დაზარალებულთა ზუსტი აღრიცხვა, საპატრიარქო ყველა დაზარალებულს დაეხმარება, ყველა მათგანზე განაწილდება დახმარება, რომელიც საპატრიარქოში გროვდება.

„ინტერპრესნიუსი“

ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ჩვილი ბავშვების ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე „რუსთავის სამშობიარო სახლის“ გენერალური დირექტორი, ალექსანდრე ბარავკოვი, მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე და „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მზია უგრეხელიძე დააკავა. დაკავებული სამი ბრალდებულის გარდა, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული დანაშაულში მონაწილე 6 პირი.

გამოძიების ინფორმაციის მიხედვით, ბრალდებულებმა განიზრახეს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ჩვილი ბავშვებით ვაჭრობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, აღნიშნული პირები სამშობიაროში კონსულტაციაზე მისულ ფეხმძიმე ქალბატონებს სთავაზობდნენ თანხის სანაცვლოდ ახალშობილი ბავშვის მიტოვებას, რომლის გასხვისებასაც შემდგომ თავად უზრუნველყოფდნენ.

საგამოძიებო სამსახურის მიერ, აღნიშნული პირების მონაწილეობით გამოვლენილია ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის ორი ფაქტი, რა დროსაც ბრალდებულებმა ერთ შემთხვევაში აიღეს 3 000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში 5 000 დოლარი.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 1432-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე ვადით.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში უკრაინის ელჩი ვასილ ციბენკო თანამდებობიდან გაათავისუფლეს

უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილებით, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვასილ ციბენკო თანამდებობას ტოვებს.

შესაბამისი ბრძანება უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ბრძანების თანახმად უკრაინის ელჩი საქართველოში დიპლომატის მოვალეობას 18 ივნისიდან აღარ ასრულებს.

რა გახდა ციბენკოს თანამდებობიდან გათავისუფლების მოტივი, ჯერჯერობით უცნობია.

„პირველი“

„მზიურის“ ტერიტორიაზე საძიებო და გაწმენდითი სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა

შსს-ს თანამშრომლები „მზიურის“ ტერიტორიაზე საძიებო და გაწმენდით სამუშაოებს მთელი ღამის განმავლობაში ახორციელებდნენ. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სხვა დანაყოფების თანამშრომლები.

„ვერსიანიუსი“

ზოოპარკთან, „სითი-პარკის“ მიერ დაჯარიმებული მანქანების მფლობელებს ჯარიმები მოეხსნებათ

ზოოპარკთან, სტიქიის ადგილზე „სითი-პარკის“ მიერ დაჯარიმებული მანქანების მფლობელებს ჯარიმები მოეხსნებათ, — ავრცელებს ინფორმაციას დედაქალაქის მერი დავით ნარმანია. მისივე თქმით, „სითი პარკმა“ ზოოპარკთან რამდენიმე მანქანა დააჯარიმა. ეს ინფორმაცია მათთვის ცნობილია, თუმცა მერმა დასძინა, რომ ეს იყო მხოლოდ „სითი პარკის“ ერთი თანამშრომლის მიერ განხორციელებული ქმედება: „ზოოპარკთან დააჯარიმეს მანქანები, ჩვენ მივიღეთ ამაზე ინფორმაცია. ეს იყო „სითი პარკის“ ერთი თანამშრომლის მიერ განხორციელებული ქმედება და ყველა ჯარიმა, რომელიც გამოიწერა სტიქიის ადგილზე, იქნება გაუქმებული“.

ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სითი პარკმა“ ზოოპარკთან რამდენიმე მანქანა დააჯარიმა.

„ინტერეპრესნიუსი“

რაფომ არ აწუხებთ უბედურების ზონადექცეული ქალაქის ბედი თბილისელების კერპადექცეულ ძმებ გაჩეჩილაძეებს, რაინდ ღევან ვასაძესა და კორკოტას „სახალხო პატრულს“?

„სად არიან შენი ყოჩი ქამრიანი ბიჭები?!“

გიორგი იაშვილი

13 ივნისის იარებს იშუშებს თბილისი და ბუბას მაგარი სიმღერა მახსენდება „მოვკვდე, როცა გაგცვალოო, ჩავქრე როგორც სანთელი, ყველა შენ გენაცვალოს ერთგული ყმის სახელით!..“ ჰოდა, მახსენდება და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ვის ჰქონდა თბილისის და თბილისელების ვალი და ვინ უერთგულა... ანდა „სად არიან შენი ყოჩი, ქამრიანი ბიჭები!“ ალბათ არავის ეგონა, რომ განსაცდელი ასე გააერთიანებდა ჩვენი დედაქალაქის მაცხოვრებლებს და ხელისუფლებას იმის თქმა მოუწევდა, მეტი მოხალისე საჭირო აღარ არის, დასადგომი ადგილიც კი პრობლემაა. ახალგაზრდობა მოწოდების გარეშე გამოვიდა გარეთ და მხოლოდ ერთი რამ სურს — რაც შეიძლება მალე დაუბრუნოს დედაქალაქს ძველი იერსახე და 13 ივნისის შავი ლაქა ჩამოირეცხოს. მოხალისეები მუხლჩაუხრელად მუშაობენ და სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, გვერდით რომელი პარტიის მხარდამჭერი ანდა როგორი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი უდგას, იციან, რომ ძალა ერთობაშია და ამ ერთობას აგერ უკვე კვირაზე მეტია, მსოფლიო ხედავს. სამიოდე დღის წინ ერთი აზერბაიჯანელი მოვიდა, თან ოცამდე ბიჭი მოიყოლა ნიჩბებით, მუშაობა გვინდა, მოგვეცით რომელიმე ადგილი და ნახავთ, რა შეგვიძლია, საჭმელიც წამოღებული გვაქვს, სამუშაო იარაღიც და მხოლოდ ის გვაჩვენეთ, რა არის გასაკეთებელიო. მოხალისეთა სიმრავლის გამო აზერბაიჯანელები უარით გაისტუმრეს, იმათ კი... ნიჩბებს მაინც დაგიტოვებთ, ტელევიზორში თქვეს, ნიჩბები არ გვყოფნისო.

ამ ფონზე საინტერესოა, სად არიან ის ადამიანები, რომლებიც წინასაარჩევნოდ, ანუ მაშინ, როცა ქულები სჭირდებათ, ძირძველ... ბოდიში, „კარენოი“ თბილისელობაზე თავს დებენ და აცხადებენ, თბილისი ჩვენი სახლია და ხალხი ჩვენს მხარეს უნდა იდგესო. გამოდიან და შთაგონებული სახეებით გვმოძღვრავენ, აქაოდა არაფერი შეგეშალოთ, როცა თბილისზე საუბრობთო. ჰო, ვსაუბრობთ თბილისზე და როცა თბილისს უჭირს, როცა თბილისის გულია დაფლეთილი, არსად ჩანან „ძირძველები“, ძმები გაჩეჩილაძეები, ღევან ვასაძე, ვანო ჩხარტიშვილი, ამ ძირძველებს რომ აფინანსებდა ყველა მიტინგზე თავისი კარვებითა და ხაბაკ-ხუბაკით... ანდა სადაა ირაკლი ოქრუაშვილი თავისი ქართლელი კუნთმაგარი ბიჭებით, აფხაზეთის დაბრუნებას რომ გვპირდებოდა და „კამაზების რევოლუციის“ მადლით, გორის მერის არჩევნებიც ვერ მოიგო. პატარკაციშვილებიც რაღაც გვიან გამოჩნდნენ... როგორც ჩანს, დიდხანს იფიქრეს და შერცხვათ, იმდენი ამაგი აქვთ თბილისელებს და კონკრეტულად ვაკელებს მათ ოჯახზე, მთაწმინდის პარკში უფასო დასვენებით, აშკარად ვერ გაქვითავდნენ.სად არის ის ხალხი, დავით ნარმანიას კოკელობას რომ უწუნებდნენ და თბილისი მხოლოდ თბილისელისთვის ემეტებოდათ... რატომ არ ჩანან, რატომ არ დგანან იქ, სადაც საქართველოა?!

სად არის გიორგი გაჩეჩილაძე, უცნობი, საკნიდან ნახევარ საქართველოს და მთელ თბილისს დედას რომ აგინებდა და ლაჩარსა და ღირსებააყრილს ეძახდა, ხომ ამისთვის დაუფინეთ ფეხქვეშ ბზის რტოები რუსთაველზე შემობრძანებულს, ხომ ამისთვის აპატიე ქართულ დროშაზე დავლურის ცეკვა „დინამოს“ სტადიონზე? რატომ არ ჩანან ძმები გაჩეჩილაძეები? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არჩევნები არ არის და იმ ახალგაზრდების ხმა არ სჭირდებათ. ერთი წლის შემდეგ გამოჩნდებიან ალბათ და იმის იმედად არიან, ამ დღეებში ჩირგვებში ყოფნას არავინ შეახსენებს. მეორე — თუ გახსოვთ, მიტინგების დროს ღევან გაჩეჩილაძემ (საპრეზიდენტო კანდიდატი იყო მაშინ) განაცხადა, ისეთი მტვერი დგას თბილისში, დღეში ორჯერ ვბანაობ და ორჯერ ვიცვლი ტანსაცმელს, ვისვრებიო. ჰოდა, მოუთხოვია უფროს „გრეჩიხას“, თუ გინდათ ვიმუშაო, საველე „დუშ-კაბინა“ მომიწყვეთ, ისე არაფერი გამოვა, საშინელი მტვერი დგასო. „დუშ-კაბინის“ მოწყობა პრობლემა არ არის, მაგრამ მერე უთქვამს ღევანს, ეგ კაბინა მოძრავი უნდა იყოს, ერთ ადგილზე ხომ არ დავდგები, ხალხმა უნდა დამინახოსო და საბოლოოდ ვერ შეთანხმებულან. ჰოდა, წინასაარჩევნოდ თუ გამოჩნდება ღევან გაჩეჩილაძე და ხმებს მოითხოვს, თავისი საყვარელი თბილისის ხმებს, სერიოზული ეჭვი მაქვს, ამომრჩეველი ზუსტად იმ პასუხს გასცემს, რაც თავის დროზე კახა ბენდუქიძემ გასცა პირდაპირ ეთერში... რა მართალი ყოფილა, ის ცხონებული...

პატარა „გრეჩიხას“ ანუ „უცნობს“ რაც შეეხება, გაგიკვირდებათ და ზოოპარკის ტერიტორიაზე მისულა წინა დღეს, ჩამომჯდარა იმ მატარებლის ლიანდაგზე, 13 ივნისამდე ბავშვები რომ სეირნობდნენ და დაუწყია „სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს, სად გარბიან ჭრელი ქოლგის რიგები...“ უსმინა თურმე ხალხმა, უსმინა, მერე რომელიღაც ახალგაზრდას უთქვამს, „ანი ბანი ხარ თუ განი დონი შენ?!“ და ამდგარა „უცნობი“, თავი დაუხრია და წასულა. სერიოზული ეჭვი გვაქვს, „უცნობი“ კლიპისთვის არჩევდა ადგილს და სურდა, რაღაც ისეთი გამოეცხო, სულში ჩამწვდომი და მერე ბენდენანაკრულს ემღერა, თუმცა გვეეჭვება, მის ნამღერზე ვინმე მივიდეს უმარტივესი მიზეზის გამო — მსმენელები ქალაქს ასუფთავებენ და არ სცალიათ, არ ემღერებათ და... „კაი კაცი სიმართლეს რომ ამბობს, მატყუარა მას უწოდებს ამბოხს...“ მღეროდა ერთ დროს პატარა „გრეჩიხა“...

და რაინდი ღევანი... სხვათა შორის, ვასაძე იმდენჯერ მოიკითხეს, სად არის, თავისი მილიონებიდან არაფრის გამეტებას აპირებსო, რომ შევწუხდი და მეც მოვიკითხე. ჯერ არ ვიცი, სად არის (სხვათა შორის, არც უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაშია), მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ გამოჩნდება ერთ დღეს, წარბებს შეკრავს (საყვარლად), შთაგონებული სახით დაიწყებს დამოძღვრას და იმის დამტკიცებას, როგორ ვიცხოვროთ, რა გავაკეთოთ და კიდევ იმას იტყვის, რომ ფული ამ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არ არის და მილიონებზე არ უნდა ვიფიქროთ. ისე, ამას რომ ამბობს ხოლმე, სულ მინდა ვკითხო, თუ ფული მნიშვნელოვანი არ არის, თავისი მილიონები ბოლო თეთრამდე შესწიროს საქველმოქმედო ორგანიზაციებს, განათლება კი აქვს, ჩადგეს საჯარო სამსახურში და იმუშაოს რიგითი მოკვდავივით, თვის ბოლოს მეზობლისგან ისესხოს ხელფასამდე პურის ფული და გამოვიდეს მერე და გვმოძღვროს რამდენიც უნდა, მაგრამ... მერე ვინ მოუსმენს?! მერე ხომ რაინდი ღევანი კი არა, ჩვეულებრივი ღევანა იქნება, ისეთი, ჩვენში ათასობით რომ ცხოვრობს და რატომღაც მგონია, რომ პატიოსნებით ბევრ რაინდს სჯობნის.

მოკლედ, ბევრი ვეცადე და გავარკვიე, რატომ არ ჩანს ვასაძე ხალხში. თურმე ის ვერცხლის ქამარი გაუწყდა, ჩოხაზე რომ ჰქონდა შემორტყმული და ამიტომ ველარ გამოვიდა სამუშაოდ. ახლა მეტყვით, ქამარი რა შუაშიაო და მწარედაც შეცდებით — აბა, ჩოხის კალთები სად აიკეცოს, ჩამოშვებული ჩოხა ხელს ხომ შეუშლის მუშაობაში. მკლავები კიდევ სულ დაკაპიწებული აქვს (ხუთი ათასდოლარიანი ჩოხის) და ახლა თუ ვინმე მიაწვდის ვერცხლს, ეგებ ის ქამარიც აღადგინოს და გამოჩნდეს. ისევ მეტყვით, ვასაძეს ვერცხლი გაუჭირდაო?! არ გაუჭირდა, მაგრამ არ უნდა მოაკლოს, 30-ს რომ ერთი დააკლდეს, ხომ იცით, 30 აღარ იქნება...

ისე, რაინდი ღევანის ყველაზე ცნობილი ლექსი „ბედნიერებამ მითხრა ნუ მეძებ“ ასე იწყება: „ბედნიერებამ მითხრა ნუ მეძებ, შენი შვილების თვალებში მნახე...“

ღევან, ჩემი შვილები, შენი შვილები, ჩვენი შვილები ახლა იქ არიან, თბილისის გულში და ანთებული თვალებით აკეთებენ საქმეს. ჰოდა, თუ ბედნიერების ნახვა გინდა, იქ წადი და იმ ბავშვებს თვალებში ჩახედე, რომლებიც არც ჭკუას გვარიგებენ, არც პრეზიდენტობა სურთ, არც ხალხის კონცერტზე მიყვანა და ბილეთების გაყიდვა და საერთოდ, არც გოლფზე გიჟდებიან, ოქროყანაში რომ ავიდნენ სათამაშოდ. ისინი რიგითი თბილისელები არიან, ისეთები, დედაქალაქი ვერცხლის გარეშე რომ უყვართ. რატომ?! იმიტომ, რომ მათთვის თბილისი ოქროა ღევან! ბოდიში... რაინდო ღევან!

ვერსიანიუსი

„მე დავაფინანსებ, რასაც მთავრობა და ხელისუფლება ვერ შეაგროვებს“

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოხალისეებს მადლობას უხდის.

ივანიშვილის თქმით, საქართველოს ჰქონდა რთული დღეები, რაც ქვეყანას მომავალში უფრო განამტკიცებს: **„საქართველოს ჰქონდა რთული დღეები, მადლობას ვუხდი მოხალისეებს. ის, რაც მათ გააკეთეს, აჩვენებს, რომ საქართველოს აქვს კარგი მომავალი. დავინახე როგორი კონსოლიდაცია შეუძლია ერს და მნიშვნელოვანია ასეთ დღეებში გაერთიანება და თანადგომა. საქართველოს მომავალი ამ მტკიცე ხელში გადის“.**

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მზადაა თანხა, რომელიც სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღდგენას დააკლდება, თვითონ გადაიხადოს.

ბიძინა ივანიშვილი მადლობას უხდის ყველას, ვინც კონკრეტული თანხა გაიღო სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის: **„ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. ეს მთავრობის საქმეა და ისინი აქტიურად ცდილობენ, მოიძიონ რესურსები იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაფარონ ის ხარჯები, რაც სტიქიამ მოგვიტანა. რასაც ვერ შეძლებენ, ნებისმიერ თანხაზე მე განვაცხადე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩათვალეთ რომ აქვთ. ასეთი დაზღვევა არსებობს ჩემი სახით. მე დავაფინანსებ, რასაც ვერ მოიძიებს ხელისუფლება და საზოგადოება“.**

ყოფილმა პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ზოოპარკის სხვა ტერიტორიაზე გადატანაზე ის 2006-2007 წლებში მუშაობდა და პროექტიც გაკეთებული ჰქონდა: **„არ ვიცი, ჩემი ნათქვამი რამდენს მოეწონება და რამდენს არა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, ასე გამიგია. ზოოპარკი იმ პირობებში, სადაც იყო, არასდროს მომწონდა. 2006-2007 წლებში პროექტიც კი გავაკეთე და მთავრობას ვპირდებოდი, დავეხმარებოდი და დავაფინანსებდი, რათა ცხოველებსაც ჰქონდეთ ნორმალური პირობები, მათ თუ ვატყვევებთ, ღირსეულად უნდა მოვექცეთ. ვფიქრობ, ჩვენი ზოოპარკი ამ მხრივ ვერ იყო სანიმუშო დონეზე. ახლა მთავრობა იზრუნებს, როგორც ნარმანიამ განაცხადა, ზოოპარკისთვის ადგილი გამოყოფილია. მეც ჩემ წილად დავეხმარები“.**

„პირველი“

„გამოვდივართ ახალი ინიციატივით, შეიქმნას სტიქიური და ანთროპოგენული პრევენციის ცენტრი“

როგორ პასუხობს თბილისის მერია საკრებულოს ახალ შეთავაზებას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სტიქიის შემდეგ, თბილისის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე 240-ე მუხლის მეორე ნაწილით აღძრა, რაც სამშენებლო სამუშაოებისას შესაძლო დარღვევების ფაქტების შესწავლას გულისხმობს. გამოძიება იმის დადგენას შეეცდება, ვერეს ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე გამოიკვლიეს და გაითვალისწინეს თუ არა მოსალოდნელი საფრთხეები და დაიცვეს თუ არა უსაფრთხოების ნორმები ესტაკადისა და გვირაბების მშენებლობისას. როგორც საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა სოსო მანჯავიძემ საგანგებო სხდომაზე ზუსტად წინა დღით განაცხადა, 240-ე მუხლის გარდა, პროკურატურას საქმე 247-ე და 287-ე მუხლებითაც უნდა აღეძრა. „ვერსიისთვის“ რამდენიმე თვის წინ მიცემულ ინტერვიუში კი მანჯავიძე თბილისის მერიის დაუდევრობასა და იმაზე საუბრობდა, რომ ქალაქის სანიაღვრე სისტემა აბსოლუტურად მოუწესრიგებელია, რაზეც საკრებულო მერიას პირდაპირ აფრთხილებდა. სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ სოსო მანჯავიძე ესაუბრება, პირველ რიგში, იმ აჟიოტაჟის მიზეზი განმარტა, თითქოს გარეული ცხოველების შიშით, საკრებულოს წევრები იარაღის ტარების უფლებას ითხოვენ.

— იარაღის შესახებ კანონი რამდენიმე თვის წინ განიხილებოდა და ამაზე მსჯელობა საკანონმდებლო ორგანოში დასრულებულია. ამ თემის ახლა ამოტივტივება თავში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრებს შეიძლება მოსვლოდათ. ეს ჩვეულებრივი ფსიქოზის ნიშანია, აბა, ვის რაში აინტერესებს, თავისი უფლებამოსილების ვადაში ატარეს თუ არა საკრებულოს დეპურტატი იარაღს?! რაც შეეხება სტიქიას, საქმე 240-ე მუხლით აღიძრა, რაც სამთო-სამშენებლო და სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას მოიცავს. ასევე უნდა აღიძრას 247-ე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხისშემცველი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების მუხლით და 287-ე, რაც სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევასა და საფრთხის შემცველ ზონებში სამედიცინო, სამრეწველო და სხვა ნაგებობების განლაგების დაპროექტებას გულისხმობს. უნდა დაისაჯოს როგორც მშენებლობის ნებართვის გამცემი, ისე დამპროექტებელი, განმლაგებელი და ა.შ.

— თუმცა თავად თქვით, საკრებულოს სხდომაზე, რომ პრევენცია შედეგთან ბრძოლაზე გაცილებით იაფი ჯდება. მაინტერესებს, საკრებულოში გარემოს დაცვის კომისია რომ არსებობს, რა ევალება, რამდენად ფუნქციურია და რისი გაკეთება შეეძლო საკრებულოს პრევენციის მიზნით?

— გარემოს დაცვის კომისია მერიის შესაბამის სამსახურებს პოლიტიკას განუსაზღვრავს. იღებს მოქალაქეების განცხადებებს, დედაქალაქში გარემოს დაცვის მონიტორინგს აწარმოებს, დებს დასკვნებს და ა.შ. თუმცა ფუნქციურად, ეს კომისია სულ სხვა რამაა, საკრებულო საკანონმდებლო ორგანოა და არა აღმასრულებელი.

— როცა ეს ვითარება ჩაივლის, ერთი კითხვა დარჩება, რაზეც დავა უკვე მიდის — ვინ არის დამნაშავე სტიქიური უბედურების შედეგად ადამიანების სიკვდილსა და უდიდეს ზარალში — კომუნისტები, ნაციონალები თუ „ოცნება“?

— აქ ერთი დამნაშავე არ არსებობს, ეს შედეგი კომპლექსურია და როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენული მიზეზით, ანუ ადამიანის ჩარევითაა განპირობებული. ვერე კომუნისტების დროსაც დიდდებოდა და ზოგადად, მდინარეს, არავის მიმართ პოლიტიკური სიმპათია არ აქვს. ამ მდინარემ თბილისი კატასტროფულად უკვე დატბორა, ამიტომ ალტერნატიული გზა თუ ვერ მოინახება, მაგისტრალს ყიმინჯები მაინც უნდა გაუკეთდეს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. თბილისში სულ 75 მდინარე და ღელეა და ვერე, მტკვრის მერე, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიშია. მას ძალიან დიდი წყალშემკრები ძალა, მეწყერული ზონები აქვს და წყალმოვარდნა ახასიათებს. თუმცა გარდა იმისა, რომ ზოგადად, მეწყერული ვითარება გათვლადია, ეს გათვლილიც იყო და ამის შესახებ 70 წლის წინაც იცოდნენ. როცა გეოლოგიის დეპარტამენტი და სხვა სამსახურები ფუნქციონირებდა, ეს ადგილი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ისინი თვალ-ყურს ადევნებდნენ, მეწყერს ქალაქისთვის საფრთხე არ შეექმნა და ისეთ პრევენციულ ღონისძიებებს მიმართავდნენ, როგორიცაა ადრეული შეტყობინების სისტემა და მეწყერის აფეთქება მოწყვეტამდე, მისი ძალის შესამცირებლად.

— სვანიძის ქუჩა 2 კვირის წინაც დაიტბორა. სად ვუშვებთ შეცდომას?

— არ არსებობს შესაბამისი სამსახურები, ამიტომ გამოვდივარ ინიციატივით, შეიქმნას სტიქიური და ანთროპოგენული პრევენციის ცენტრი, როგორც თუნდაც ძლიერი, განშტოებული სამსახური, თბილისის ლაბორატორიასთან და ამას დიდი ფული არც სჭირდება. საჭიროა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის კრიზისების მართვის ცენტრს, ჯანელიძის უწყებას. ამის გაკეთებას ალტერნატივა არ გააჩნია. სწორედ ესაა ნაციონალების მთავარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა — მათ გააუქმეს ყველა მსგავსი უწყება, კორუფციასთან ბრძოლის მოტივით და ახალი არაფერი შეუქმნიათ, ამიტომ დღეს არავინ არაფერზე პასუხისმგებელი არ არის. დღეს ასეთი შედეგი სწორედ პრევენციის ორგანოების მოსპობამ გამოიწვია. ეს ერთი და მეორე — ვინაიდან არ არსებობდა ასეთი ორგანოები, შესაბამისად, არ არსებობდა სახელმწიფო დასკვნები და ის ვერეს პროექტიც დასკვნის და ამ საფრთხეების გათვალისწინების გარეშე დაიდო. შესაბამისად, არც ახლა არსებობს დასკვნა, რომლის საფუძველზეც მის დამპროექტებელს პასუხს მოსთხოვენ. ყველა შესაბამისი სამსახური იმიტომ გააუქმეს, რომ ამ ურბანული კატასტროფებით არ შეფერხებულიყვნენ და ხელ-ფეხი გახსნოდათ. ასე მივიღეთ ურბანული ხაფანგი, რომელშიც ნახევარი თბილისი მოექცა. სასწრაფოდ უნდა აღდგეს მონიტორინგის სამსახური, რომელიც კატასტროფების პრევენციაზე იმუშავებს. ამ წუთას არავინ აღრიცხავს, სად რა საფრთხე ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს ქალაქს. ამისთვის ფული არ უნდა დავიშუროთ — ვერეს ხეობაში მეწყერის ჩამოშლა 20 მილიონი ლარი დაჯდებოდა, ახლა კი ზარალი, შესაძლოა 100 მილიონ ლარს მიუახლოვდეს, აღარაფერს ვამბობ მსხვერპლზე.

— რამდენიმე თვის წინ ინტერვიუში მითხარით, რომ საკრებულოში სანიაღვრე სისტემის გამართვის საკითხზე, მათ შორის, უცხოელ კოლეგებთანაც მიდიოდა მუშაობა. დღეს ხომ მაინც გამოჩნდა, რომ ქალაქის სანიაღვრე სისტემა არაფრად არ ვარგა, არც მიწისქვეშა წყლებია მოწესრიგებული. რა ბედი ეწია თქვენს არ წამოწყებას?

— საკრებულოში ამ თემის ინიცირება მოხდა, აპრილში კორექტირებულ ბიუჯეტში ცვლილებაც შეტანილია. ვითხოვ, სასწრაფოდ შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც თბილისში მიწისქვეშა კომუნიკაციებს შეისწავლის და დასკვნებს დადებს. მიწისქვეშა წყლებისა და კომუნიკაციების მდგომარეობა ტრაგიკულია. თბილისში ე.წ. მოხეტიალე წყლები მრავლად გვაქვს, რაც სახლებსა და მეტროს უქმნის საფრთხეს ისევე, როგორც მიწისქვეშა გაყვანილობებს. აგერ, გაზის მილიც გასკდა გმირთა მოედანზე. გვაქვს მეწყერსაშიში ზონები, ასევე მიწისძვრის საფრთხეები და სასწრაფოდ შესასწავლია იმ სახლების სამშენებელო და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა, რაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აშენდა. მით უმეტეს, კატასტროფების პერიოდი დაიწყო — ხან ერთი ქუჩა ჩაიქცევა, ხან მეორე. ელბაქიძის აღმართი ჩაიქცა, სვანიძის ქუჩა დაიტბორა, ჩეჩელიძეზე მეწყერი ჩამოწვა.. კომპლექსური მოძრაობა უნდა დავიწყოთ და დავდოთ რეალური სურათი, რა ხდება თბილისში. ეს ამ მოწვევის საკრებულოსა და მერიის დიდი გამარჯვება და გარღვევა იქმნება. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ნაკლებად ესმით და პრევენციის ნაცვლად, შედეგების აღმოფხვრაზე ვართ გადასული. სულ ხანძრის ჩაქრობის რეჟიმში ვართ, შლანგი და ნიჩაბი გვიკავია ხელში, დავდივართ და გმირული გამომეტყველება გვაქვს. არადა, ხანძრის კერებს თავად ვქმნით.

— მერე რა გიპასუხათ მერიამ ამ შეთავაზებაზე?

— მერია თანახმაა ჩვენთან თანამშრომლობაზე, უბრალოდ, ამ საქმის ინსტიტუციური მოწყობა ძალიან გაიწელა.

— რატომ?

— მაგალითად, არ იციან, ეს სისტემა რომელ უწყებაში უნდა გაკეთდეს. მე, მიმაჩნია, რომ თბილისის ლაბორატორია უნდა გაძლიერდეს და ბიუროკრატიულ აპარატად კი არ უნდა იქცეს, უახლესი ტექნოლოგიებით უნდა აღიჭურვოს და დეტალურად შეგვატყობინოს, არის თუ არა ჩვენი სახლები უსაფრთხო, ემუქრება თუ არა მათ რამე, კერძოდ რა და როგორ ავიცილოთ ეს პრობლემები თავიდან.

პროკურატურა ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულებისთვის პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვს

მთავარმა პროკურატურამ ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირებისთვის პატიმრობის გაუქმებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გირაოს შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა და საგანგებო განცხადებაც გაავრცელა: **„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის საქმეზე დაკავებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირების: ნუგზარ კაიშაურის, გიზო ღლონტის, დავით წიფურიას, გიორგი ლობჟანიძის, არჩილ ალავიძის მიმართ გამოყენებული პატიმრობის გაუქმება და აღკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გირაოს შეფარდება.**

ბრალდების მხარის მიერ ხსენებული შუამდგომლობის დაყენება განპირობებულია იმით, რომ 2015 წლის 28 ივლისს საქმეზე იწურება ბრალდებულების მიმართ შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადა მაშინ, როდესაც საქმეზე ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის წინასასამართლო განხილვები, რომელმაც გასტანა თითქმის 3 თვე (პირველი წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2015 წლის 01 აპრილს), რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საერთო სასამართლოების პრაქტიკაში; ასეთ ვითარებაში პროკურატურას არ გააჩნია გონივრული მოლოდინი, რომ დარჩენილ დროში, იმ ვითარებაში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული წინასასამართლო განხილვა, საქმეზე შესაძლებელი გახდება არსებითი განხილვის ფარგლებში შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

ამავდროულად, პატიმრობის გაუქმების შუამდგომლობა ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ წინასასამართლო განხილვისას გადალახულია მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპი, პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილი ყველა მტკიცებულება ცნობილია დასაშვებად, ანუ კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებად. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით შემცირებულია ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე გავლენის მოხდენის და მტკიცებულებების განადგურების რისკები; ბრალდებულების მიმართ გამოყენებულმა პატიმრობამ გამოიღო პრევენციული შედეგი, რამაც გამოიწვია მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და ბრალდებულებსა და მოწმეებს შორის არაკანონიერი გარიგებების განხორციელების საფრთხეების შემცირება.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავარმა პროკურატურამ მიიღო ამ ეტაპისთვის ერთადერთი სამართლებრივად მიზანშეწონილი გადაწყვეტილება და მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით ხსენებული ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გირაოთი შეცვლის მოთხოვნით.

საქმეზე მორიგი წინასასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნულია 2015 წლის 19 ივნისს 11:00 საათზე, სადაც მოხდება ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი პატიმრობის გაუქმების შუამდგომლობის განხილვა“.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

პრეზიდენტმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ბავშვების მამა შეიწყალა

პრეზიდენტმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ბავშვების მამა შეიწყალა. ინფორმაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში ადასტურებენ. უწყების ინფორმაციით, მსჯავრდებული უკვე სახლშია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მსჯავრდებულის ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა აცხადებენ, რომ იგი მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა სტიქიით დევნილ, სასტუმროში შეფარებულ დამფრთხალ ბავშვებს მსჯავრდებული მამა მიუყვანა და დიასახლისს თავისი ხელფასი გადასცა. პრემიერ-მინისტრისა და მინისტრის გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ პრეზიდენტს აღნიშნული მსჯავრდებულის შეწყალების თხოვნით მიმართა.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ჩემი ყურადღება გაცრეცილპერანგიანმა მოხუცმა კაცმა მიიპყრო, რომელსაც ხელში ორი პოლიეთილენის პარკი ეჭირა. ერთში 5 ცალი ვაშლი მოჩანდა, მეორეში — ერთი პური. ეს სურათი არასდროს დამავიწყდება“, — ესაა კულტურის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის სტატუსი, რომელიც სოციალურ ქსელში ელვის სისწრაფით გავრცელდა. მინისტრი ამ ამბავს ერთ-ერთ გამგეობაში შეესწრო, სადაც ხალხს 13-14 ივნისს, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის ტანსაცმელი, საკვები და ნივთები მიჰქონდა... 7 წლის ლუკა მელქაძემ ყულაბა გახსნა და მშობლებს სთხოვა, ველოსიპედის საყიდლად მოგროვილი თანხა, სახლ-კარის გარეშე დარჩენილი თანატოლებისთვის გადაეცათ: „ველოსიპედის ყიდვა არ მეჩქარება, მოვითმენ და მოგვიანებით ვიყიდოთ“... „გაცრეცილპერანგიანი“ მოხუცისა და პატარა ლუკას დახმარებას მილიონზე მეტი ფასი და უდიდესი მადლი აქვს. ამ ფონზე, უხერხულია პარლამენტის მილიონლარიანი დახმარება, რაც სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში, პარლამენტის ბიუჯეტიდან გადარიცხეს.

ახლა თითოეულ თეთრსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ წლების განმავლობაში, ასეულობით მილიონი დოლარისა და უამრავი ბიზნესის მფლობელი დეპუტატებისგან, მხოლოდ პარლამენტის ბიუჯეტიდან გაღებული „მოწყალება“, რაც სხვათა შორის, ისევ ჩვენი, მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებია, რბილად რომ ვთქვათ, ცინიკურია. ნუთუ, დაზარალებულები არ იმსახურებდნენ, მილიონერ დეპუტატებს საკუთარ ჯიბეზეც გაეკრათ ხელი? ბოლოს და ბოლოს, ერთი კორპუსი შეესყიდათ და უსახლკაროები შეესახლებინათ! ან მინიმუმ, იმ რაოდენობის თანხა მაინც გადაერიცხათ ანგარიშზე, რამდენსაც არჩევნების წინ ხარჯავდნენ, ხალხის გულის მოსალბობად და ხმების მისაღებად ხარჯავდნენ. 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებია, დარწმუნებული ვარ, მილიონერი დეპუტატები კენჭს ისევ იყრიან. რიტორიკულს კი არა, ლოგიკურ კითხვას ვსვამ — არიან კი იმის ღირსები, ხალხის რჩეულები ერქვათ?! ცხადია, ეს კითხვაცა და ზოგადად, სტატიაც ყველა დეპუტატს არ ეხება. მაგალითად, ცნობილია, რომ თბილისის მერიის ანგარიშზე ვიქტორ ჯაფარიძემ 3 000, ხოლო ნანა ყეინიშვილმა 4 000 ლარი გადარიცხა.

ვინ არიან მულტიმილიონერი დეპუტატები

13-14 ივნისს, თბილისში, სტიქიით დაზარალებულთა ფონდში საქართველოს პარლამენტმა, საკუთარი ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარი გადარიცხა, რაც უხეში გათვლებით, დეპუტატების ორი თვის ხელფასზე ცოტა მეტია. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების წლიური ბიუჯეტი 60 531 700 ლარით განისაზღვრა. მომუშავეთა რაოდენობა 1 331-ია, შრომითი ანაზღაურებისთვის კი წლის განმავლობაში 33 180 400 ლარი გამოყვეს. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, საკანონმდებლო საქმიანობა 52 091 000 ლარით განისაზღვრა, მომუშავეთა რაოდენობა 840-ია, ხოლო მათი შრომითი ანაზღაურება წლის მანძილზე — 27 604 400 ლარი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საკანონმდებლო ორგანოში 15-მდე მულტიმილიონერი დეპუტატია, პარლამენტის ბიუჯეტიდან გადარიცხული მილიონი ლარი, მართლაც ზღვაში წვეთია. რაც მთავარია, ეს მილიონერი დეპუტატები, გოგი თოფაძისა და ზურაბ ტყემალაძის გარდა, ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ, რომლებიც ქართულ ოცნებაში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „გადაპორტირდნენ“. სხვათა შორის, მილიონერი დეპუტატები წინასაარჩევნო პერიოდში, საკუთარი პარტიების მთავარი დამფინანსებლები იყვნენ და პარტიის ანგარიშზე, 50 000 ლარზე ნაკლები არც ერთ მათგანს არ გადაურიცხავს. 50 000 ლარი მათთვის ჯიბის ფულია და ეს სულაც არ არის ფაქტის უტრირება. ამ დეპუტატების ქონებრივ დეკლარაციებს ჩახედეთ და თავად დარწმუნდებით, რომ ნაღდი ფულის სახით, თანხის სწორედ ეს რაოდენობა (პლუს-მინუს 10 000 ლარი) აქვთ მითითებული. არადა, გული რომ გულობდეს, 50 000 ლარად, ერთ ოჯახს მაინც უყიდდნენ ბინას და საშვილიშვილოდ მოიმადლიერებდნენ.

გთავაზობთ მილიონერი დეპუტატების სიას. აქვე მოგაწვდით ინფორმაციას მათთან დაკავშირებული კომპანიების შესახებაც და თავად განსაჯეთ, შეეძლოთ თუ არა მათ სოლიდური დახმარება გაეწიათ დაზარალებულებისთვის.

დავით გეჟუაშვილი – არაოფიციალურად, 1 მილიარდ 500 მილიონი აშშ დოლარის მფლობელი და ერთადერთი მილიარდერი დეპუტატია. 2008 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის სახელით მონაწილეობდა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, ქართული ოცნების გამარჯვების შემდეგ კი ბეჟუაშვილმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა. 1994 წლიდან, ბეჟუაშვილი, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ორი კომპანიის – CHEMEXIM INTERNATIONAL LTD-სა და KEMBLE TRADING LTD-ის პარტნიორია. თავის მხრივ, CHEMEXIM INTERNATIONAL LTD, ჰოლდინგურ კომპანია „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ ფლობს, რომლის საკუთრებაში არაერთი მსხვილი ქართული კომპანიაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, დავით ბეჟუაშვილის კომპანიები მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზეა რეგისტრირებული. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, 8 ჰიდრო და ერთ თბოელექტროსადგურს ფლობს. ამ ჯგუფში შედის შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ტყიბულში, ძიძიგურისა და მინდელის სახელობის ქვანახშირის საბადოებს ამუშავებს. ამავე ჰოლდინგი ფლობს შპს „ტიფლის სითის“, ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანას, „ქართული ლუდის კომპანიასა“ და „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“.

კობა ნაყოფია – არაოფიციალურად, 800 მილიონი აშშ დოლარის ქონებას ფლობს. კანარის კუნძულებზე, 300 კვ.მ ფართის აგარაკი ნაყოფიას საკუთრებაშია, მოსკოვში კი 55 კვ.მ ფართის ბინას ფლობს. მასვე ეკუთვნის მიწის ნაკვეთი თბილისში, დიღმის მასივში, რომლის ფართობიც 11 301 კვ.მ-ია. ნაყოფია ჭავჭავაძის გამზირზე 198 კვ.მ ფართის ბინის მფლობელია, ხოლო მისი მეუღლე ელგა სოფია, მოსკოვში, 167 კვ.მ ფართის ბინას ფლობს. სოფიას სახელზეა გაფორმებული ორი საცხოვრებელი და ორი მშენებარე ბინა თბილისში. 1994-2004 წლებში, კობა ნაყოფია რუსეთში, კერძო სექტორში მუშაობდა. 2004 წელს, საქართველოში დაბრუნდა და ოქროს მომპოვებელი საწარმო „მადნეულის“ გენერალური დირექტორი გახდა. კობა ნაყოფიას სახელს უკავშირდება და 2013 წლის მონაცემებით, წილებს ფლობდა შპს „გოლდ ინვესტსა“ და შპს „მ.დ. ჯგუფში“.

გოგი თოფაძე – არაოფიციალურად, 600 მილიონი აშშ დოლარის ქონების პატრონია. წლების განმავლობაში, გოგი თოფაძე სამეწარმეო საქმიანობით იყო დაკავებული და არაერთ კომპანიას ფლობდა. თოფაძის საკუთრებაშია 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში, მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ბინა ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე. მისი მეუღლის, მარინა თოფაძის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთები წყნეთში. თოფაძეების ოჯახს ეკუთვნის ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილოები. გოგი თოფაძის სახელს უკავშირდება და დეპუტატობის დროსაც კი, 2013 წლის მონაცემებით, წილებს ფლობდა შემდეგ კომპანიებში: „ქართუ უნივერსალი“, შპს „იორის ჭალები“, შპს „კალვე“, შპს „ცხრანყარო 2007“, შპს „სამგორი“, შპს „კურორტი ბაკურიანი“, შპს „ყაზბეგი ფშავლელი“, შპს „წარაფი 98“, შპს „თრუსო“, შპს „თერჯოლა 2007“, შპს „ბარი ყაზბეგი-ლომთაგორა“, შპს „ყაზბეგი 2005“, შპს „ვეტპრეპარატი“, შპს „ყაზბეგი ბაკურიანი“, შპს „თრიალეთი“, შპს „ყაზბეგი 1881“-სა და შპს „ყაზბეგი ნაყინი“.

გოგი ლიპარტელიანი — არაოფიციალურად, 500 მილიონი აშშ დოლარის ქონების მფლობელია. მის საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში, ხოლო დეპუტატის მეუღლე, ნაზი ლიპარტელიანი ფლობს საცხოვრებელ სახლს თბილისში, საცხოვრებელ სახლს მცხეთაში, მიწის ნაკვეთებს თბილისში, წავკისსა და მცხეთაში. სს „ელექტროავტომატში“, გოგი ლიპარტელიანი 57 430 დოლარის ღირებულების აქციებს, ხოლო მეუღლე — 34 714 დოლარის აქციებს ფლობს. გოგი ლიპარტელიანის მეუღლე, ნაზი ლიპარტელიანი, რამდენიმე კომპანიის პარტნიორია, მათ შორის შპს „სპეროზას“, შპს „გამა პლუსის“, შპს „გამას“, შპს „ტრანს გაზისა“ და შპს „ბიოსფერო პლუსის“.

ვალერი გელაშვილი — არაოფიციალურად, 400 მილიონი აშშ დოლარის მფლობელია. დეპუტატს ვენესუელაში, მარგარიტას კუნძულზე, 160 კვ.მ ფართის ბინა და 53 300 კვ.მ მიწის ფართობი აქვს. მეუღლის, დანგუოლე გელაშვილის სახელზეა გაფორმებული ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში არსებული 720 კვ.მ. ფართობის ბინა. ვალერი გელაშვილი ხაშურელია, სადაც სახლსა და მიწის ნაკვეთს ფლობს. დეპუტატის საკუთრებაშია თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 14-ში არსებული საცხოვრებელი ფართი, სადაც რამდენიმე ბინა შეისყიდა. მეუღლის სახელზეა გაფორმებული კიდევ ერთი ბინა თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე. ამჟამად, ლიტვაში, მისივე დაფუძნებულ კომპანიას დეპუტატის მეუღლე ფლობს, ხოლო შვილობილ კომპანიებს ვაჟი – ვალერი გელაშვილი.

კახაბერ ოქრიაშვილი — ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლისტი, „პეესპეს“ დამფუძნებელი დეპუტატი, არაოფიციალურად, 300 მილიონ აშშ დოლარის ქონებას ფლობს. მის საკუთრებაშია არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ორი ბინა დმანისში, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი სოფელ განთიადში, ასევე – საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი წავკისში. მეუღლის, ლინა თოფურიას საკუთრებაშია ბინა და არასაცხოვრებელი ფართი თბილისში. კახა ოქრიაშვილის სახელს უკავშირდება და 2013 წლის მონაცემებით, წილებს ფლობდა კომპანიებში: შპს „სანიმედი“, შპს „ჯისითი ინჟინერინგი“, შპს „ალფა“, შპს „პსპ ფარმა“, შპს „ჯი ემ პი პროდაქშენი“, შპს „მანდარინი“, შპს „პსპ დაზღვევა“, შპს „პატრია მედიკა“, შპს „ჯეიმედი“, შპს „პსპ“ და შპს „მედკაპიტალი“. უფრო ზუსტად, შპს „მედკაპიტალის“ 50-50%-იან წილებს „პსპ ფარმა“ და „ავერსი ფარმა“ ფლობენ, „პსპ ფარმას“ 100%-იანი წილის მფლობელი კახა ოქრიაშვილი, ხოლო „ავერსი ფარმას“ 100%-იანი წილის მფლობელები, ფარმაცევტულ ბაზარზე ოქრიაშვილის კონკურენტები, ძმები კურტანიძეები არიან.

გოდერძი ბუკია — არაოფიციალურად, 250 მილიონი აშშ დოლარის ქონების მფლობელია. მეუღლის, მანანა კვირიკაშვილის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი წავკისში. 2008 წლიდან, გოდერძი ბუკია შპს „სისტემ ნეტის“ პარტნიორია და ამ კომპანიაში წილს დეპუტატობის დროს, 2013 წელსაც კი ფლობდა. გოდერძი ბუკიას საკუთრებაშია მოსკოვში ორი ბინა და საბანკო ანგარიშები რუსეთში.

ზურაბ ტყემალაძე — არაოფიციალურად, 200 მილიონი აშშ დოლარის ქონებას ფლობს. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე აქვს ბინა, რომლის ფართობი 205 კვ. მეტრია, მისსავე საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი, ავტოფარეხი 68 500 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები სს „თბილხელსაწყოში“. ზურაბ ტყემალაძე შპს „საამოსა“ და შპს „აგუნას“ პარტნიორია, რომელიც ამავე კომპანიებში წილებს 2013 წელს, დეპუტატობის დროსაც კი ფლობდა.

გოჩა ენუქიძე — არაოფიციალურად, 200 მილიონი აშშ დოლარის ქონების მფლობელია. ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატის საკუთრებაშია ბინა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, წყნეთსა და ბათუმში. მის საკუთრებაშია არასაცხოვრებელი ფართი აბაშიძის ქუჩაზე, არასაცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი ყიფშიძის ქუჩაზე, ასევე მიწის ნაკვეთები რაჭასა და საგურამოში. მეუღლის, დეა ენუქიძის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთები ბაკურიანსა და საგურამოში. გოჩა ენუქიძის სახელს უკავშირდება და კოლეგა-დეპუტატების მსგავსად, 2013 წლის მონაცემებით, წილებს ფლობდა შპს „იბერკომპანი ოილში“, შპს „იტა სერვისში“, შპს „იბერკომპანი ირაოში“, შპს „გალაქტიონი 3“-ში, შპს „კრისტალვილში“, შპს „იბერკომპანიში“, შპს „კია მოტორს ჯორჯიაში“, შპს „სითი სპორტში“, შპს „სპორტ კლუბ ოლიმპში“, შპს „გლობალ თრეიდინგ კომპანიში“, შპს „ჯეოტრინიკი 2007“-ში, შპს „იბერკომპანი ჰოლდინგში“.

ნაული ჯანაშია — არაოფიციალურად, 100 მილიონი აშშ დოლარის ქონებას ფლობს. 18 წლიდან, მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი ყაზახეთში, მოგვიანებით კი პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწეობდა. 2008 წელს, საქართველოში დაბრუნდა. ნაული ჯანაშია ფლობს ბინას მოსკოვში, მის საკუთრებაშია 200 კვ.მ ფართობის მქონე სახლი და 1 200 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი მოსკოვში – „პასიოლოკ დრუჟბაში“, ასევე 528 კვ.მ ფართობის სახლი მარტვილში, სამსართულიანი სახლი და 3 000 კვ.მ მიწის ფართობი თბილისში, დიდ დიღომში.

გიორგი ფეიქრიშვილი — გარდაბნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, მეტსახელად „წავკისელი ფეოდალი“. გარდაბანსა და წავკისში, მილიონერი დეპუტატი მიწის 17 ნაკვეთს ფლობს, მისსავე საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი წავკისში. გიორგი ფეიქრიშვილი ერთადერთი დეპუტატია, რომელმაც 2013 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითა, რომ საბანკო ანგარიშების გარდა, ნაღდი ფულის სახით, 1 031 250 ლარს ფლობდა. ლეიბორისტების მილიონერი დეპუტატების სიაში ვერ მოხვდნენ ის მაჟორიტარი დეპუტატებიც, მილიონერები არა, მაგრამ საკმაოდ შეძლებული დეპუტატები არიან ანზორ ბოლქვაძე, გურამ მისაბიშვილი, მარიკა ვერულაშვილი და იაშა შერვაშიძე, რომლებსაც ასევე შეეძლოთ, მცირე დახმარება მაინც გაეწიათ დაზარალებულებისთვის.

პარლამენტარების ბიზნესწილები

მართალია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტის წევრს სამეწარმეო საქმიანობა ეზღუდება, მაგრამ 2013 წელს, „ვერსიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანალიტიკოსების კვლევის საფუძველზე მოვამზადეთ. სტატია საქართველოს პარლამენტის იმ დეპუტატების ბიზნესსაქმიანობას ეხებოდა, რომლებიც 2013 წლის მდგომარეობით, მათსავე დაფუძნებულ ან მათთან დაკავშირებულ კომპანიებში წილებს ფლობდნენ და მარტივად რომ ვთქვათ, კანონს არღვევდნენ. შესაძლოა, დეპუტატებმა „გამჭვირვალობის“ მკვლევარების მოთხოვნა უკვე გაითვალისწინეს და საკანონმდებლო ხარვეზი გამოასწორეს, ანუ საკუთარი წილები დათმეს, მაგრამ ეს კომპანიები მაინც მათთან ასოცირდება და უპრიანი იქნებოდა, დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, სიმბოლური თანხა მაინც გაეღოთ.

„ვერსია“ ისევ იმ დეპუტატების კომპანიებსა და მათ წილებს აქვეყნებს, რომლებიც „გამჭვირვალობის“ კვლევაში მოხვდნენ. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ წინა წლების გამოცდილებაც აჩვენებს, რომ უარყოფის მიუხედავად, გაირკვევა ხოლმე, ესა თუ ის კომპანია ვის ეკუთვნის. ამის ნათელი მაგალითი, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსანი და ამავე პარტიის მთავარი „მოლარე“ დავით კეზერაშვილია, რომელიც წლების მანძილზე ჯიუტად უარყოფდა, რომ ამა თუ იმ კომპანიაში წილებს ფლობდა, მაგრამ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, სრულიად საპირისპირო ფაქტი დადასტურდა — მინისტრობის პარალელურად, კეზერაშვილი საკმაოდ მდიდარი ბიზნესმენი იყო.

საკანონმდებლო ხარვეზები რომც გაესწორებინათ, კონკრეტული დეპუტატების გვარებს, კონკრეტული კომპანიები დღემდე უკავშირდება. მაგალითად: **საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე — „ორიონი“; უმრავლესობის წევრი გელა სამხარაული — „დია ალავერდი“, „დუტა ენდ ეფი“, „ვერა 2011“, „დია გრუპი“; უმრავლესობის დეპუტატი გიორგი კახიანი — „გლობალ ბრენდი“, „ბელელი“; უმრავლესობის წევრი გიორგი ჟვანია — „ბოსნერი“, „ბი ემ სი“; უმრავლესობის წევრი ვახტანგ ხმალაძე — „თბილისის საარბიტრაჟო პალატა“; უმცირესობის წევრი ზაზა კედელაშვილი — „ტრანს ექსპერიმენტი“, „ზაკი“, „ზედაზენი იმერეთი“; უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი — „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“, „მიგრანტთა საადვოკატო ბიურო“, „ქეი ენდ ქეი ქონსალთინგი“; უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე (ს/ს „გოლდენ ფლის გრუპის“ დირექტორი იყო) — „მაკროს კრედიტი“, „იუნიონ კრედიტი; უმრავლესობის წევრი თამაზ ყაჭეიშვილი — „ხარისხი“, „ნუგო“, „სამეგობრო“, „საქართველო-გერმანიის ერთობლივი საწარმო ეკო“; უმრავლესობის წევრი თამაზ შიოშვილი — „მემორექსი“, „სპენიშქლეიში“; უმრავლესობის წევრი თემურ მაისურაძე — „ნევი ნოტექი“, დამოუკიდებელი დეპუტატი იაშა შერვაშიძე — „გუმ ბაპა“, „სტარ არ ჯი“; უმრავლესობის წევრი იოსებ ჯაჭვლიანი — „თეთნულდი“; უმცირესობის წევრი ლევან ქარდავა — „მაგანა 2004“, „გრუპპო ვია“, „საქართველოს ინოვაციური ნანო ტექნოლოგიები“; უმრავლესობის წევრი ნოდარ ებანოიძე — „კომპაუდი“; უმრავლესობის წევრი პაატა კიკნაველიძე — „აგრარული ბაზარი“; უმცირესობის წევრი პაატა ლეჟავა — „დილატო ფიტნეს კლუბი“; უმრავლესობის წევრი რევაზ შავლოხაშვილი — „საბა 2005“; დამოუკიდებელი დეპუტატი სერგო ხაბულიანი — „ცეკური“, „ძმენებელი 2004“.**

გამომცემლებმა განათლების სამინისტროსთან სასამართლო დავა წააგეს

ნინო ჩხენკელი

2085 სკოლის მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს კვლავაც უფასოდ და დაუბრკოლებლად მიიღებს. ხანგრძლივი დავის შემდეგ, გამომცემლებმა სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული მორიგი სასამართლო პროცესი სააპელაციო სასამართლოში წააგეს, რითაც დადასტურდა, რომ სახელმწიფოს მათი საავტორო უფლებები არ დაურღვევია. მართალია, გამომცემლებს ერთი ზემდგომი ინსტანცია კვლავ რჩებათ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საკითხზე ორმა ინსტანციამ იმსჯელა, სავარაუდოდ, სასამართლო გადაწყვეტილება უცვლელი დარჩება.

განათლების სამინისტროსა და გამომცემლებს შორის დავის შესახებ საზოგადოება უკვე რამდენიმე წელია საქმის კურსშია. სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამომცემლები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ მათი საავტორო უფლებები შელახა და ირწმუნებოდნენ, რომ განათლების სამინისტროს სასამართლოს გზით დაამარცხებდნენ. თუმცა, ეს ბრალდება ვერ დაასაბუთეს. შედეგად, მათ ორი ინსტანციის სასამართლოში პროცესი წააგეს. როგორც ცნობილია, განათლების სამინისტროსა და გამომცემლებს შორის ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოსწავლეებისთვის უფასოდ სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო. ოთხმა გამომცემლობამ „არტანუჯმა“, „ინტელექტმა“, „ლოგოს პრესმა“ და „დიოგენემ“ სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივლა. მათი მოთხოვნა იყო:

1. სასამართლოს უკანონოდ ეცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქმედება — გამომცემლების საკუთრებაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გავრცელება.

2. ბათილად ეცნო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს 1051 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომცემლების ადმინისტრაციული საჩივარი.)

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება „არტანუჯის“ სასარგებლოდ 3 845 399 ლარის, გამომცემლობა „ინტელექტის“ სასარგებლოდ 13 005 083 ლარის, „ლოგოს პრესის“ სასარგებლოდ 932 059 ლარისა და გამომცემლობა „დიოგენეს“ სასარგებლოდ 4 911 472 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ მოთხოვნებზე გამომცემლებს თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი 2014 წლის 22 ოქტომბერს უთხრა, ანუ მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტროს ქმედებებით არ შელახულა მათი კანონიერი უფლებები და არ იყო გამომცემლების სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

გადაწყვეტილება გამომცემლებმა სააპელაციო წესითაც გაასაჩივრეს და საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაიწყო. ამჯერადაც, სასამართლომ სრულად შეისწავლა საქმის მასალები და გაიზიარა სამინისტროს არგუმენტაცია, რაც სრულყოფილად და დასაბუთებულად მიიჩნია. შესაბამისად, გამომცემლების საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებითაც არ დაკმაყოფილდა, რაც ნიშნავს, რომ გამომცემლებმა დავა ორ ინსტანციაში სამართლებრივად წააგეს.

რეალურად, გამომცემლებმა საქმე წააგეს საკონსტიტუციო სასამართლოშიც, რადგან აღნიშნულმა სასამართლომ საქმე მთლიანად შეწყვიტა. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს გამომცემლობებმა: „არტანუჯმა“, „ინტელექტმა“, „ლოგოს

პრესმა“, „დიოგენემ“, „სულაკაურის გამომცემლობამ“, საგამომცემლო სახლმა „ტრიასმა“ და მოქალაქე ირინა რუხაძემ. ისინი დავობდნენ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის 30/ნ ბრძანების 1 დანართის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის „თ. ა“ და „თ. ბ“ ქვეპუნქტების, მეათე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების კონსტიტუციურობაზე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან და ასევე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით.

მართალია, გამომცემელთა მხრიდან სასამართლო პროცესის წაგება საგამომცემლო ბიზნესისთვის არცთუ სახარბიელოა, მაგრამ სამართლებრივი მხარე რომ გაცილებით მნიშვნელოვანია, უდავოა, რადგან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უპრეცედენტო პროექტი ათასობით ოჯახს უკავშირდება და მას უმნიშვნელოვანესი სოციალური და საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს.

იდავებენ თუ არა გამომცემლები ზემდგომ ინსტანციაში, ამას დრო აჩვენებს. მანამდე კი, განათლების სამინისტრო მოსწავლეებისთვის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაზე მუშაობს. „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ისე, როგორც გასულ წლებში, 2015-2016 სასწავლო წლისთვისაც სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლე. წიგნებს მიიღებენ კერძო სკოლის მოსწავლეთა სოციალურად დაუცველი ოჯახების, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები და საჯარო სკოლის შენობის გასხვისების გამო კერძო სკოლის მოსწავლეებად რეგისტრირებული შესაბამისი საჯარო სკოლის მოსწავლეები.

რატომ თქვა უარი ზოოპარკის ადმინისტრაციამ ცირკის ვოლიერებში ცხოველების განთავსებაზე

სტიქიის მიერ ზოოპარკის განადგურების შემდეგ, მუდმივადაა საუბარი იმაზე, სად უნდა განათავსონ გადარჩენილი ცხოველები. ამ ფონზე, დავინტერესდით, რატომ არაა შესაძლებელი, ცხოველების ცირკის ტერიტორიაზე არსებულ ვოლიერებში განთავსება, მით უმეტეს, რომ უახლოეს მომავალში ცირკში გასტროლი არ არის დაგეგმილი. ამის გასარკვევად, „ვერსია“ თბილისის ცირკის დირექტორს **დემურ ლორიას** დაუკავშირდა. მისი განცხადებით, 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ ცირკის ადმინისტრაცია დაუკავშირდა ზოოპარკის ადმინისტრაციას და შესთავაზა, მტაცებელი ცხოველების ნაწილი ცირკის ვოლიერებში გადაეყვანათ, თუმცა ზოოპარკის ადმინისტრაციისგან უარი მიიღეს. განუცხადეს, უმჯობესი იქნება, ცხოველები ისევ ზოოპარკის ტერიტორიაზე დარჩნენო: **„გამთენიისას, როდესაც შევიტყვეთ, რომ სტიქიური უბედურება მოხდა და ზოოპარკი დაზარალდა, დავუკავშირდით ზოოპარკის ადმინისტრაციას და დახმარება შევთავაზეთ. ჩვენს ცირკში დაახლოებით 200-მდე კვადრატული მეტრის სივრცის ფართობია, სადაც რამდენიმე ცხოველის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი. იყვნენ კიდეც ჩვენთან მოსულები, დაათვალიერეს ყველაფერი, მაგრამ საბოლოოდ, ჩვენს დახმარებაზე უარი თქვეს. უმჯობესი იქნება, ცხოველები ზოოპარკის ტერიტორიაზე დარჩნენო. მოძრავი ვოლიერები სამწუხაროდ არ გვქონდა. დახმარება გვინდოდა, თან ამ ეტაპზე არც გასტროლები გვაქვს და მომდევნო ორი თვის მანძილზეც არაფერი იგეგმება. სამწუხაროდ არაფერი გამოვიდა“.** „ვერსიამ“ ინფორმაცია ზოოპარკის ადმინისტრაციაში გადაამოწმა. პრესსამსახურის უფროსის, **მზია შარაშიძის** განმარტებით, მსგავსი შეთავაზება ცირკის ადმინისტრაციისგან მართლაც მიიღეს, თუმცა უარი უთხრეს, რადგან დამატებითი ვოლიერების საჭიროება არ ჰქონდათ — ბევრი ცხოველი დაიხოცა და ვოლიერების ნაკლებობას არ განიცდიან. ამასთან ცხოველებისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ ზოოპარკის ტერიტორიაზე დარჩებოდნენ. 17 ივნისს „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე ვეფხვმა მამაკაცი დაგლიჯა. მითქმა-მოთქმისა და სხვადასხვა ვერსიის პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვეფხვი ზოოპარკიდან წინა ღამეს გამოიქცა, როცა ამინდის გაუარესების გამო, ზოოპარკში ევაკუაცია განხორციელდა. გაჩნდა ეჭვიც, რომ ქალაქში შესაძლოა კიდევ დადიოდნენ სხვა მტაცებლები. რა თქმა უნდა, მზია შარაშიძეს ამის შესახებაც ვკითხეთ. რაზედაც, განგვიცხადა: **„ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ეს ვეფხვი ევაკუაციის დროს გამოიქცა და ეს დაუდევრობით იყო გამოწვეული, სიმართლეს არ შეესაბამება“.**

საზოგადოება

გამორიცხულია, ამ სტიქიამ მიწისძვრა გამოიწვიოს!

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

თბილისში რამდენიმე დღის წინ მომხდარი სტიქიის შემდეგ, საზოგადოებაში პანიკაა. ზოოპარკიდან გაქცეული ცხოველების შიშს ისიც დაემატა, რომ მოქალაქეებს ლოგიკური კითხვა გაუჩნდათ — ძლიერი წვიმისა და სტიქიის შემდეგ, მოსალოდნელია თუ არა მიწისძვრა? სოციალურ ქსელში ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ასაბუთებდნენ, რომ ზოგადად, მეწყერსა და წყალდიდობას, მიწისძვრა აუცილებლად მოსდევს. იმის გასარკვევად, შეიძლება თუ არა „ვერეს სტიქიის“ გაგრძელება მიწისქვეშა ბიძგები იყოს, „ვერსია“ სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორს, თეა გოდოლაძეს დაუკავშირდა.



— ქალბატონო თეა, საქართველო საშუალო დონის სეისმურობის მქონე ქვეყანად ითვლება. შესაძლებელია თუ არა, წვიმამ და სხვა სტიქიურმა უბედურებებმა მიწისძვრის პროვოცირება მოახდინოს?

— არსებობს ბუნებრივი კატასტროფები, რომლებიც ლოგიკურად ერთმანეთს ებმის. მაგალითად, შესაძლებელია, მიწისძვრამ მეწყერის ჩამოწოლა გამოიწვიოს, მაგრამ პირიქით არ ხდება. ანუ, მეწყერის ჩამოწოლა მიწისძვრას არ გამოიწვევს. მიწისძვრა, კატასტროფის ცალკე აღებული სახეა, რომელიც სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

— წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე რომელიმე მაღალბალიან მიწისძვრას ხომ არ უძღვოდა წინ გადაუღებელი წვიმა, მეწყრის ჩამოწოლა?

— როგორც წესი, ასეთი კორელაცია ამ მოვლენებს შორის გამორიცხულია.

— საქართველოში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და შენობები რა ტიპის მიწისძვრებზეა გათვლილი?

— რთული კითხვაა. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა გარკვეული სტანდარტები. იყო სამშენებლო ნორმები და ეს სახლები თბილისში შვიდ, რვაბალიან მიწისძვრაზე იყო გათვლილი. ამჟამად სულ სხვა მიმართულებით მივდივართ. საქართველოს სამშენებლო პოლიტიკა და სეისმური დაგეგმარების პოლიტიკა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

— ანუ, საბჭოთა კავშირის დროს აშენებული სახლები უფრო მყარია ამ თვალსაზრისით თუ ის შენობები, რომლებიც ახლა შენდება?

— არ ვიცი, შესამოწმებელია. სახლების სეისმურობის საკითხი ცალკე თემაა, რომელიც სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მივიწყებულია და რომელსაც, განვითარება არ აქვს. მეტიც, როცა დამჭირდა, ის ბაზაც კი ვერ ვიპოვე, სადაც თბილისის შენობები ტექნიკურად იქნებოდა აღწერილი. დღეს მძიმე მდგომარეობაა, რადგან არსებობს ძველი, ავარიული და ამორტიზებული შენობები. ასევე არის გრუნტის პრობლემაც, რაც ამ სტიქიამაც კარგად დაგვანახა. ეს პრობლემა მართლაც მწვავედ დგას. გვესმის, რომ ეს საინჟინრო გეოლოგიური ამოცანებია, მაგრამ ისინი გასათვალისწინებელია ნებისმიერი მშენებლობის დროს. სამწუხაროა, რომ რიგ შემთხვევაში, ჩვენი ისტორიული თუ მეცნიერული მეხსიერება ძალიან მოკლეა. 2002 წელს თბილისის მიწისძვრამ 8 ადამიანი იმსხვერპლა. 4 ან თუნდაც 5-ბალიანი მიწისძვრის პირობებში 8 ადამიანის სიკვდილი კატასტროფაა! ეს ნიშნავს, რომ თუ მიწისძვრის კლასი მოიმატებს, კოლაფსი გველის!

საქართველო ინფექციური აფეთქების ზღვარზე?!

გვემუქრება თუ არა სტიქიის თანმდევი ტეტანუსი, ჰეპატიტი, ტიფი, დეზინტერია და ლეპტოსპიროზი

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

13 ივნისის სტიქიამ მძიმე დაღი დაგვასვა და არავინ იცის, ოდესმე მოშუშდება თუ არა იარები, მაგრამ ახლა სულიერ მდგომარეობაზე ფიქრისთვის არავის სცალია, ახლა ბევრი რამაა მისახედი და დაძაბული ფონის განეიტრალება ჯერ შორეული პერსპექტივაა — ნერვიულის შემდეგ, ინფექციური აფეთქება გველის, რაზეც სამწუხაროდ დღეს ნაკლებად საუბრობენ. შესაძლოა პანიკის გაღვივება არ სურთ ან არსებულ ვითარებაში საგანგაშოს მართლა ვერაფერს ხედავენ, მაგრამ ვერსად გავექცევით სამწუხარო რეალობას — სტიქია და ინფექციები საშიში ტანდემია, პრობლემას კი ვერც თავიდან აიცილებ და ვერც გვერდს აუვლი.

წყალდიდობას ახლავს ინფექციების აფეთქება — დეზინტერია, ქოლერა, ტიფი, ჰეპატიტი, ტეტანუსი, ლეპტოსპიროზი... როცა საქმე ეხება სტიქიას, პირველ რიგში, ყველა საუბრობს მსხვერპლზე, ზარალზე, ეკოლოგიაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ექცევა ყურადღება ინფექციებს. თუმცა სამწუხარო რეალობაა, რომ წყალდიდობის შედეგად გავრცელებული ინფექციები და მათი მასშტაბი უსერიოზულესი პრობლემაა.

მთავარი გამომწვევი — მწყობრიდან გამოსული წყალმომარაგების სისტემა და სასმელი წყლის დეფიციტია. სწორედ ეს ხდება მიზეზი ნაწლავური ინფექციების სწრაფად გავრცელებისა — ნაგვით სავსე კონტეინერები, ფეკალიები, ნიადაგის ნაშალი, ცხოველთა გვამები, დაღუპულთა ცხედრები საუკეთესო გარემოა მავნე ბაქტერიების გასამრავლებლად, ხოლო თბილი წყალი და ჰაერის მაღალი ტემპერატურა საფრთხეს აორმაგებს.

რაღაც წყალში ილექება, რაღაც ორთქლდება, რაღაც კი ხმელეთზე აღმოჩნდება და არ ღირს ახლა მიამიტურად ფიქრი, რომ ინფექციები მხოლოდ წყლით ვრცელდება, ადამიანები, ცხოველები (თაგვი, ვირთხა, ყვავი), მწერები (ბუზი), ხელს უწყობენ მათ სწრაფ გავრცელებას. დაინფიცირება კი შემდეგი გზებით ხდება:

დაუმუშავებელი წყლის მიღებისას, ჭურჭლის რეცხვისას, საკვების მიღებისას (პროდუქტი შეიძლება დაავადდეს კულინარიული დამუშავების ან შენახვისას), ჭუჭყიანი ხელით კონტაქტისას... ალბათ სწორედ ამით იყო განპირობებული დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები, როცა მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ხშირად დაებანათ ხელი, დაელიათ მხოლოდ გადადუღებული წყალი, ჭურჭლის რეცხვისას კი მათეთრებელი გამოეყენებინათ, მაგრამ რეალურად, ეს რეკომენდაციები პრევენციად ვერ გამოდგებოდა და ახლავე აგიხსნით, რატომ? — სტატისტიკურად დადასტურებულია, რომ სტიქიის შემდეგ მკვეთრად იმატებს მოსახლეობის ავადობის მაჩვენებელი. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რადგან ინფექციებს ემატება პნევმონიის, რევმატიზმისა და გაციების ალბათობა.

პირველ რიგში, მოსახლეობა ხარისხიანი სასმელი წყლით უნდა უზრუნველყონ, გარდა ამისა, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, სამედიცინო ბრიგადები ყოველდღიურად უნდა ამოწმებდეს სტიქიის ადგილს და იქ მობილიზებული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს უწყვეტ რეჟიმში აწარმოებდნენ; გასატარებელია სადეზინფექციო პროფილაქტიკური სამუშაოები და ასეთი მობილიზაცია წყლის დონის დაწევიდან 30-45 დღე-ღამის განმავლობაში უნდა იყოს გამოცხადებული (?!).

შესაძლოა ვიღაცებისთვის პარალელების გავლება უადგილო იყოს, მაგრამ წყალდიდობის მეორე თუ მესამე დღეს გახსნილი სახელდახელო მედპუნქტები არსებული ვითარების ფონზე, მსგავს საფრთხეებს რომ ვერ აგვარიდებს, ესეც ფაქტია. კი ბატონო, მოუწოდა მოსახლეობას ჯანდაცვის სამინისტრომ, ტეტანუსის ვაქცინა გაიკეთონ, მაგრამ იმ მოხალისეებს შორის, ვინც მაქსიმუმს აკეთებდა ხალხის დასახმარებლად, ერთი მაინც თუ აღმოჩნდება, ვინც ახლა აცრას გაიკეთებს? ბუნებრივია, აცრას ისეთივე მითქმა-მოთქმა მოჰყვა, როგორც ხდება ხოლმე — ზოგი ამტკიცებდა, კლინიკებმა თანხის გადახდა მოგვთხოვესო, თუმცა სერგეენკოს უწყებამ ამაზეც გააკეთა განმარტება — იმ კლინიკებში, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზეა მიბმული, აცრა უფასოა და თუ ვინმე ფულს მოგთხოვთ, ცხელ ხაზზე დაგვიკავშირდითო. მაგრამ აქ კიდევ ერთი „მაგრამ“ არსებობს...

საფრთხე მხოლოდ ტეტანუსი არაა, წყალდიდობის შემდეგ ვრცელდება

ჰეპატიტი, ტიფი და დეზინტერია, უსაფრთხოების ზომა კი რეზინის ხელთათმანი და ბოტია, გარდა ამისა, სტიქიის ადგილზე მომუშავე მოხალისეებმა რეგულარულად უნდა იცვალონ სამოსი, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენას, ხელების ხშირად დაბანას... მაგრამ სამწუხაროდ არც ამაზე უზრუნია ვინმეს... როგორც კი შეიტყვეს, რომ ნიჩბები და რეზინის ხელთათამანები იყო საჭირო, გადამყიდველებმა ფასები გააორმაგეს. იმაზე ფიქრი, ვინმე ამ ნივთებს მოხალისეებს უფასოდ დაურიგებდა, უტოპიაა, მაგრამ შესაბამის უწყებებს წესით ყველა ზომა უნდა მიეღოთ უსაფრთხოების წესების მაქსიმალურად დასაცავად.

არსებობს კიდევ ერთი ინფექციური დაავადება ლეპტოსპიროზი (Leptospira interrogans), რომლის ძირითადი რეზერვუარი ბუნებაში ცხოველებია, ის საკმაოდ მძიმე ფორმით მიმდინარეობს, არაერთ სიცოცხლესაც იწირავს და მთელ მსოფლიოშია მოდებული.

ბელგიელი ექიმი მიშელ ჟანკლო აღნიშნავს, რომ ყოველწლიურად ამ დაავადების 550 შემთხვევა ფიქსირდება და მათ შორის ყოველი მეათე ლეტალური გამოსავლით სრულდება. ამ დაავადებას სამწუხაროდ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას და დიაგნოსტირებაც რთულია, რადგან სიპტომებით, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ძალიან ჰგავს ჩვეულებრივ გრიპს. არადა რეალურად დაავადებულთა რაოდენობა იმატებს თუნდაც იმიტომ, რომ წყალდიდობები მსოფლიო მასშტაბით საკმაოდ ხშირად ხდება.

დაავადების ძირითადი გადამტანები მღრღნელები არიან, მათი შარდიდან ბაქტერია ხვდება გარემოში, მიწისძვრის შედეგად, წყალში და შემდეგ ადამიანის ორგანიზმში. განსაკუთრებით თუ კანი გაკაწრულია.

წესით ყველა ეს ფაქტორი შესაბამის უწყებებს უნდა გაეთვალისწინებინა, რათა მაქსიმალურად შემცირებულიყო რისკები, მაგრამ როგორც ჩანს, უმწეობის შეგრძნება მხოლოდ დაზარალებულ მოსახლეობას არ გასჩენია და ყველა ერთად უძლურნი აღმოვჩნდით სტიქიის წინაშე. საინტერესო კი ისაა, თუ არსებულ მძიმე ფონს ინფექციებიც დაემატება, მით უმეტეს, ჯერ ყველა გვამი თუ ცხედარი ნაპოვნი არ არის, მერე ვიღაცებისკენ ხელის გაშვერა და მთავარი დამნაშავეების ძებნა, დაგვიანებული ხომ არ იქნება?!

რას ითხოვს სახალხო მკურნალი დომენტი გაგნიძე ხელისუფლებისგან?

„ამათ მარტო ფული უყვართ, გადამხდელი არაფერში სჭირდებათ“

დავით დევიძე
593-219-042

სამართლიანობის აღდგენა ის მთავარი დაპირება იყო, ნაციონალების ცხრაწლიან განუკითხაობას რომ დაუსვა წერტილი და ხელისუფლებაში „ოცნება“ მოიყვანა. თუმცა, „ოცნების“ ხელში ეს დაპირება წინასაარჩევნო ტრიუკი უფრო აღმოჩნდა. რამდენიც უნდა იძახოს დღეს ხელისუფლებამ, ასე არ არისო, ფაქტი სახეზეა: მას სამი წელი არ ეყო, არათუ დაპირება შეესრულებინა, არამედ საერთოდ მუშაობა დაეწყო ამ მიმართულებით. მაგალითად, მკითხველმა კარგად იცის, რომ ცნობილი სახალხო მკურნალი დომენტი გაგნიძე დღემდე ამაოდ მოითხოვს ხელისუფლებისგან მისი საქმის შესწავლას, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი ნიშანწყალი არ არსებობს, რომ ეს საკითხი საერთოდ ვინმეს აინტერესებს. არადა, ბოლო ბოლო რა გახდა ოთხმოცი წლის სახალხო მკურნალის საქმის შესწავლა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება? აი, რას ამბობს ბატონი დომენტი „ვერსიასთან“ საუბრისას:

— ორ ივლისსაა ჩანიშნული მორიგი სასამართლო პროცესი. იმედია, ყინული დაიძვრება და ამჯერად მაინც იზეიმებს სამართლიანობა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ასეთმა პროცესებმა აქამდე არანაირი შედეგი არ გამოიღო. სიმართლე რომ გითხრათ, სულ უფრო მეტად ვკარგავ იმედს, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა საერთოდ ვინმეს აინტერესებს.

— ბატონო დომენტი, კონკრეტულად რას ითხოვთ ხელისუფლებისგან?

— ყველასთვის კარგადაა ცნობილი, როგორ მომექცნენ წინა ხელისუფლების დროს. დამილუქეს წარმოება, წამართვეს წლების მანძილზე ნაგროვები ფული. საუბარია მილიონ 241 ათას ლარზე და შეთითხნილი ბრალდებებით ამიკრძალეს მედიკამენტების წარმოება. სამი წელია ვცდილობ სამართალს მივაღწიო, მაგრამ ამაოდ.

— რას გეუბნებიან?

— სასამართლო პროცესები ჭიანურდება განუსაზღვრელი ვადით, რაც მაფიქრებინებს, რომ განგებ ბლოკავენ ამ საქმეს. ეტყობა ფულის დაბრუნება არ უნდათ და იმიტომ. მე კატეგორიულად მოვითხოვ, დამიბრუნონ ფული, რომელიც პატიოსანი გზით მაქვს შეძენილი. ვერავინ შეძლებს ამტკიცოს, ასე არ არის. წინა ხელისუფლება ყაჩაღურად მომექცა და მედიკამენტების საწარმოებელი დანადგარებიც კი წამართვა. ეს არ არის საიდუმლოებით მოცული ისტორია, რომ სამი წლის მანძილზე ვერ დადგინდეს, რა და როგორ მოხდა, მაგრამ ვიმეორებ, ეტყობა ვინმეს ინტერესებში არ შედის, საქმე ბოლომდე მიიყვანონ. მე, როგორც პიროვნება თუ არ ვუნდივარ სახელმწიფოს, მაშინ ფულსაც ნუ მართმევენ. ყოველთვის საუკეთესო გადამხდელი ვიყავი, ბიუჯეტში სოლიდარული თანხები შემქონდა, ამათ კი მარტო ფული უყვართ, გადამხდელი კი არაფერში სჭირდებათ.

— ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართეთ?

— დავწერე განცხადება ჯანდაცვის მინისტრის სახელზე. ჩავაყენე საქმის კურსში, როგორ განუკითხავად მომექცნენ — წინა ხელისუფლების ჯანდაცვის სამინისტრომ ონკოლოგები მომისია და ათასი სიბინძურე დამწამა, რის საფუძველზეც მედიკამენტების წარმოება ამიკრძალეს. სერგეენკოსგან ამ საკითხის შესწავლას ვითხოვ. ვნახოთ, რა პასუხი იქნება. ჩემს მედიკამენტებს არასოდეს არავისთვის მიუყენებია ზიანი. მეტიც, ჩემს წამლებს გვერდითი მოვლენებიც კი არ აქვს, რაც თითქმის ყველა აფთიაქში გამოტანილ მედიკამენტს ახასიათებს. ამიტომ, მისი სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე ვამტკიცებ, რომ ამ მედიკამენტებს ანალოგი არ მოეპოვება. აი, ამის შესწავლას ვითხოვ ჯანდაცვის მინისტრს. იმედია, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ მაინც შეწუხდებიან და საქმის დამთავრებაზე იზრუნებენ.

ეკლესიიდან გაჭანილი ცემენტის „ვაზვრატი“

როგორ გაუქვითეს მღვდელს წაგებულ თავანში ფაძრისთვის შეწირული სამშენებლო მასალა და როგორ გაარჩიეს პატიმრებმა საქმე „ქურდებთან“

პატიმარი №0578

არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა კრიმინალები ციხეში ღმერთთან მისასვლელ გზას პოულობენ. მთელი „სროკის“ განმავლობაში ისინი მუდმივად ლოცულობენ, კაბით იმოსებიან, მერე კი, მონასტერში მიდიან და ბერის მძიმე ცხოვრებას იწყებენ. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამას თამაშობენ, შეწყალების იმედად მთელ დღეებს ლოცვებში ატარებენ, მერე, რომელიმე მღვდლის შუამდგომლობით თავისუფლებაზე გადიან და სანთელს მხოლოდ უშუქობის დროს თუ ანთებენ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, დაახლოებით ორი თვის წინ მოხდა...

„სად დამეკარგეთ? ეს არის თქვენი პირობა, ყოველდღე ამოვალთ, ცივ ნიავს არ მოგაკარებთ, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთო? არაფერი მინდა თქვენი, ღმერთის სახლი არ დაივიწყოთ“, — მამა ზურაბი ციხის მეგობრებს, ლევანს და პატიმარ №0578-ს მოძღვრავდა და თან მეგობრულად საყვედურობდა.

„კარგი, რა, მამაო, ხომ ხედავ, რამდენი საქმე გვაქვს? აქეთ შენი ეკლესიაა შემოსაღობი, იქეთ ოჯახებია მისახედი, კაცურად გაგვიგე, რა და ჩვენს ნაცვლად კიდევ დღეში ერთი ლოცვის წაკითხვა თუ გეზარება, დავღუპულვართ“, — გაუღიმა ლევანმა.

„იცი, რა მიკვირს? ეს როგორ ძმაკაცობს შენთან, როგორ გიტანს?!“ — №0578-ზე მიანიშნა მღვდელმა.

„არ ვძმაკაცობ, მამაო, შნირად მყავს. ხომ გახსოვს, ზონაზეც როგორ მივლიდა, აქ მძღოლია ჩემი“, — გაიცინა №0578-მა.

„ჰო, ჰო, იღადავეთ თქვენ და ამ ეკლესიას მე შემოვღობავ. წავიდეთ, გრიგოლა ვნახოთ, მაგის ცემენტი დაგვჭირდება კიდევ. ნუ დაგვეკარგები ხოლმე მამაო, შეგვეხმიანე, არაფერს ვაფუჭებთ და ახლა ძველი გაფუჭებული თუ გახსოვს, შენიც გაიხსენე“, — თვალი ჩაუკრა ლევანმა მამაოს და მანქანაში ჩახტა.

„ჭკუა არც შენ გეკითხება, მაგრამ ამ გიჟს მიხედე, რა. ისე, არც შენ ხარ დალაგებული და ერთმანეთს გაუფრთხილდით“, — გაუღიმა მამა ზურაბმა და დაძრულ ჯიპს პირჯვარი გადასახა.

ორი დღის შემდეგ მეგობრებმა ეკლესიაში ცემენტით დატვირთული კამაზი მიიყვანეს, ელიავას მუშებს თავადაც დაეხმარნენ ჩამოცლაში და მამა ზურაბს ღიმილით უთხრეს — ცოტა ხანს ხმა არ გაგვცე, მართლა საქმეები გვაქვსო, თუმცა მამა ზურაბის ზარი მეორე დღესვე გაისმა. მეგობრები ერთად იყვნენ და როცა მამაომ დარეკა, ისტერიული სიცილი აუტყდათ, ახლა ამას რა მოასვენებს, სანამ იმ ცემენტით ეკლესიას არ შელესავს და შემოღობავსო. ლევანმა მხიარულად უპასუხა, თუმცა სახე მაშინვე შეეცვალა, წამოდგა და მოვდივართო, სწრაფად თქვა.

„რა ხდება?!“ — მანქანაში ჩასხდომისთანავე ჰკითხა №0578-მა.

„არ ვიცი, მამაომ, დროზე ამოდითო და ხმა არ მომეწონა, ასეთი ხმა მაგისგან არ მახსოვს“, — ჩუმად თქვა ლევანმა და მანქანა სახლთან გააჩერა.

„სახლში რა გინდა?! აქ არის მამა ზურაბი?!“ — გაოცდა №0578.

„არა, იარაღს ავიღებ, ხომ გითხარი, იქ რაღაც ხდება. არ ვიცი, რა, მაგრამ უიარაღოდ თავს კარგად ვერ ვიგრძნობ“, — თქვა ლევანმა და ორ წუთში მეგობრები ეკლესიისკენ შეიარაღებულები მიდიოდნენ.

ეკლესიის ეზოში მამა ზურაბი მარტო იყო. მეგობრები მივიდნენ, მიესალმნენ, კურთხევა სთხოვეს და მხოლოდ შემდეგ შენიშნეს, რომ ოცი ტონა ცემენტიდან ეზოში ერთი ტომარაც არ იყო.

„რა მოხდა, მამაო, ცემენტი გაგიწიეს?!“ — გაეცინა №0578-ს.

„არა, ნეტავ ასე ყოფილიყო. ვალში წაიღეს, ძმაო, ვალში“, — თქვა მღვდელმა და ატირდა.

„მოიცა, მამა ზურაბ, ახლა ძმაო და „ზონოვსკი ბაზარი“ არ გვინდა, მამაო ხარ და დალაგებულად გვითხარი, რა ვალში, ვინ წაიღო? მაშინვე რატომ არ დარეკე?!“ — ჰკითხა ლევანმა.

„შემეშინდა. იარაღით იყვნენ და რომ დამერეკა, უბედურებაში გაეხვეოდით, თქვენ არ გაატანდით და ისინი არ დათმობდნენ. მკვლელობის შემეშინდა, გესმით?!“ — ამოიგმინა მღვდელმა.

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ისევ მამა ზურაბს მიუბრუნდნენ: „ვინ იყვნენ, ის მაინც გვითხარი?!“

„რეზო და ირაკლი“, — თავი ჩაღუნა მღვდელმა.

„რაა?! ვინ რეზო და ირაკლი? შენ არ უთხარი, ჩვენ რომ მოვიტანეთ? ეკლესიისთვის არის-თქო? რა ვალი გაქვს მაგათი? აქამდე რატომ არ ვიცოდით?“ — კითხვები დააყარეს მეგობრებმა.

„ვუთხარი, რომ თქვენ მოიტანეთ, ისიც ვუთხარი, ეკლესიას შესწირეს, ჩემი არ არის-თქო, მაგრამ ფეხებზე დაიკიდეს. ზონაზე, შვიდი წლის წინ, ზარი ვითამაშეთ, მაშინ ვთქვით, ათი ათასი დოლარი იყოს, ოღონდ „სვაბოდის“ თავანი-თქო, ანუ თავისუფლებაზე უნდა ჩაბარებოდა. მერე იყო, ლოცვებში რომ ვიყავი, მერე მონასტერი, მერე აქ და ვის ეცალა თავანისთვის და ძველბიჭობისთვის. ახლა მომადგნენ, გადახდა უნდაო და ცემენტი წაიღეს ვალში“, — დაასრულა მონოლოგი მღვდელმა.

„შენც „სირივით“ გაატანე და ჩვენ არ დაგვირეკე, ხო?!“ — გაცეცხლდა ლევანი და კეფაში №0578-ის ხელი მოხვდა.

„ნუ გარეკე, მამაოს ელაპარაკები. აქ ვერაფერს გავარკვევთ მეტს, წავედით ახლა. რეზო და ირაკლი ვნახოთ და „სირები“ იმათ ვეძახოთ“, — თქვა №0578-მა და მანქანაში ჩაჯდა.

რეზო და ირაკლი საბურთალოზე ნახევარ საათში იპოვეს. უბანში იდგნენ და ლუდს წრუპავდნენ.

„ვაა, რა ხალხი, რა ხალხი... დაცვის გარეშე დადიხართ, ტო?! გიჭირთ რამე, თორემ რევაზა და ირა ვის გაახსენდებოდა ამ მშვიდობიანობის დროს“, — გაიკრიჭა რეზო.

„საქმეზე ვართ, საბაზროა, გავიდეთ“, — ჩუმად მოჭრა ლევანმა, მაგრამ ბიჭები არ განძრეულან.

„მაგაზე ნაბაზრია, ძმაო, უკვე და ქურდებიც საქმის კურსში არიან. თუ გინდათ, დაურეკეთ და „გააიასნეთ“. თავანს რომ ჩაბარება უნდა, არ იცით?!“ — სერიოზული სახით თქვა რეზომ.

„რომელმა ქურდმა გითხრათ, ეკლესიას ცემენტი წაართვით და თავანი მაგაში გაარასხოდეთო?“ — ჰკითხა №0578-მა.

„რომელმა და დავითამ. თუ არ გჯერათ, დაურეკეთ, ტელეფონი თუ არ გაქვთ, მოგცემთ და ასე შემდეგ“, — ისევ გაიკრიჭა რეზო.

ლევანმა ტელეფონი ამოიღო, მიკროფონზე ჩართო და დარეკა. „პრონტო“ — გაისმა მეორე მხრიდან.

„ლევანი ვარ. გაუმარჯოს. იტალიური ისწავლე თუ ვარჯიშობ?!“ — ჰკითხა ლევანმა.

„რომელი ლევანი?!“ — იქიდან კანონიერი ქურდის ხმა გაისმა.

„აი ის, №0578-თან ერთად ეკლესიაში ცემენტი რომ მიიტანა და შენი დასტურით ამ ორმა სირმა უკან რომ წამოიღო“, — აუხსნა ლევანმა და რეზომ მუქარით თავი დაიქნია, ბაზარს მორჩეს და მერე ახსნას, სირი ვინ არისო.

„მომისმინე „ბრატ“. ეგ ახლაა მამაო, თორემ ადრე „პრისტუპნიკი“ იყო, კაიბიჭი და რამე. თავანი ჩასაბარებელი ჰქონდა და პატივი ვეცით, არ „გავაკატავეთ“ და წასაღები წავიღეთ. რა არის გაუგებარი?!“ — იკითხა დათომ.

„და ეგ სად წერია, ეკლესიაზე შეწირული ცემენტი თავანში გაარასხოდეთო?!“ — №0578-მა ლევანს შეატყო, უკონტროლო ხდებოდა, მანქანიდან იარაღი ჩუმად ამოიღო და ქამარში გაირჭო.

„ქურდი რომ გელაპარაკება, საკმარისი არ არის?!“ — ხმას აუწია დათომ.

„და თუ ქურდულად მაგას ამბობ, რომ ეს მართალია და ეკლესიას უნდა წაართვათ, მასეთი ქურდულის დედაც...“ — იღრიალა ლევანმა, ტელეფონი გათიშა და რეზოს ეცა. ირაკლიმ იარაღის ამოღება დააპირა, თუმცა №0578-მა დაასწრო და ჩუმად უთხრა: „არ გირჩევ“.

„რა აგიხსნა, ბიჭო? „სირი“ რატომ ხარ? აი ამიტომ, შენი ბოზი დედაც...“ — ლევანი რეზოს უმოწყალოდ სცემდა, №0578 მშვიდად უყურებდა და ირაკლის განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

როცა რეზოს ცემით გული იჯერა, ირაკლისკენ გაიწია, მაგრამ იმან ადგილიდან მოკურცხლა. უცებ ლევანის ტელეფონზე ზარი გაისმა, იტალიიდან დათო რეკავდა.

„შენთან საუბარს აღარ ვაპირებ, ქურდები დაგირეკავენ“, — მოჭრა ლევანმა და გათიშა. იმავე დღეს მეგობრები ათამდე ქურდს ესაუბრნენ, დილით კი ეკლესიაში ავიდნენ და მამა ზურაბი დაამშვიდეს, ყველაფერი კარგად იქნებაო. ნაშუადღევს ეკლესიას კამაზი მოადგა და წაღებული ცემენტი ისევ ეკლესიის ეზოში დაიცალა.

„სხვა დროს ეგრევე დარეკე... ტოჟე მნე პრისტუპნიკ“, — გაიცინა ლევანმა.

„არ გინდათ, ეგ იარაღი აქ დატოვოთ?!“ — მამა ზურაბმა №0578-ს ქამარში იარაღი შეამჩნია.

„აი, შენი იარაღი მამაო“, — ჯვარზე მიანიშნა №0578-მა და მეგობრებმა ეკლესიის ეზო დატოვეს.

ვერსიანიუსი

სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 19-მდე გაიზარდა

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობისას, კიდევ ერთი უგზოუკვლოდ დაკარგული პირი, გარდაცვლილი იპოვეს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ნაპოვნია 1959 წლის 6 დეკემბერს დაბადებული სულიკო დიმიტრის-ძე ნოზაძე.

„კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დაღუპულთა გამო და მათ ოჯახებს ვუსამძიმრებთ“, — განაცხადა პრემიერმა საგანგებო შტაბის სხდომაზე. ამ დროისთვის უგზოუკვლოდ დაკარგულად ოფიციალური ინფორმაციით 4 ადამიანი ითვლება.

„პირველი“

შსს-მ სტიქიის შედეგად გარდაცვლილ და დაკარგულ პირებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

შსს-მ სტიქიის შედეგად გარდაცვლილ და დაკარგულ პირებთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ს 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) დაიწყო. გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს დანაყოფებმა ვეფხვის ლიკვიდაცია მოახდინეს

სტიქიის შედეგად ზოოპარკიდან გამოსული ვეფხვი, რომლის თავდასხმას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ლიკვიდირებულია. „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცოპერაცია ჩატარდა. ცხოველი აგრესიული იყო და მისი ლიკვიდაცია გახდა საჭირო. ადგილზე იმყოფებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და ვითარებას პირადად აკონტროლებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მტაცებლის თავდასხმის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქის გამო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, რომ ცხოველები აღარ არიან ქალაქში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტიქიის ზონაში პატრულირება არ შეუწყვეტია. არაერთხელ შემოწმდა შენობა, სადაც ვეფხვი თავს დაესხა მოქალაქეს. შსს-ს წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს შენობაში შესვლა, რადგან ეს შენობა არის გისოსებში და მისი რკინის კარი დაკეტილი იყო. მოქალაქე, რომელმაც გააღო აღნიშნული შენობის კარი და ერთ-ერთი პირველი შევიდა შენობაში, მტაცებელი ცხოველის მსხვერპლი გახდა. მასთან ერთად კიდევ ორი მოქალაქე იმყოფებოდა, რომლებმაც გაქცევა შეძლეს და სამართალდამცველებს შეატყობინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფები აგრძელებენ სამძებრო ღონისძიებებს თბილისის მასშტაბით. მომხდარზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს მთავარი პროკურატურა.

„ვერსიანიუსი“

სააკაშვილმა გუბერნატორის პოსტზე დანიშვნა ძვირფასი საათის შეძენით აღნიშნა

საქართველოს ექსპრეზიდენტის კოლექციას 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროთი მოვარაყებული „ომეგას“ საათი შეემატა



ქართველ პოლიტიკოსსა და ოდესის ოლქის ახალ გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს, ელიტური და უჩვეულო საათების მიმართ უჩვეულო ლტოლვა აქვს. შესაბამისად, არის კიდეც, საიუველირო შედევრების კოლექციონერი. მის კოლექციაში ნახავთ შვეიცარულ „ბრეიტლინგს“ ლიმიტირებული კოლექციიდან, რომლის ღირებულებაც 10 ათასი დოლარი გახლავთ. სააკაშვილს აქვს ასევე ექსკლუზიური წარმოების „როლექსი“, რომლის ციფერბლატზეც საქართველოს დროშაა. ამ საათში საქართველოს ექსპრეზიდენტმა 20 ათასი დოლარი გადაიხადა. „სვოჩის ბანისუტრა“ კი, პოლიტიკოსს სულ რაღაც 200 დოლარად აქვს შეძენილი. მასზე კურდღლებია გამოსახული კამასუტრას სხვადასხვა პოზაში.

უკრაინელი ჟურნალისტები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ოდესის გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნა, სააკაშვილმა აღნიშნა ახალი ძვირფასი შენაძენით — პოლიტიკოსს, უფრო და უფრო ხშირად ხედავენ ვარდისფერი ოქროთი მოვარაყებული „ომეგას“ საათით.

კოლექციონერი სტაჟით — ასე უწოდეს სააკაშვილს, რომელმაც, როგორც მედიის წარმომადგენლები აღიარებენ, საათების ფასი იცის. ახალი საათი ტრადიციულ, 41 მილიმეტრიან კორპუსშია ჩამონტაჟებული და 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროთია მოვარაყებული. დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან და აქვს ყავისფერი ტყავის სამაჯური. ცნობილი ბრენდის ლიმიტირებული კოლექციის ეგზემპლარის ფასი 8 ათასი დოლარიდან იწყება.

რამდენიმე თვის წინ კი, ქართველმა პოლიტიკოსმა შეიძინა ლეგენდარული „როლექს იახტ მასტერი“, რომლის ფასიც 11 ათასი დოლარიდან იწყება. ეს საათი შექმნილია წყლის სპორტის სახეობებისთვის. მისი დიამეტრი 40 მილიმეტრია, შავ ფერშია გადაწყვეტილი და ისიც 18-კარატიანი ოქროთია დაფარული.

საინტერესოა, რომ გასულ კვირას მედიასაშუალებებმა გაარკვიეს ოდესის გუბერნატორ სააკაშვილის ყოველთვიური ხელფასის ოდენობა. ჟურნალისტების მოთხოვნით, საოლქო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სააკაშვილის ანაზღაურება, დღეს, თვეში 267 ამერიკული დოლარია. ეს თანხა მცირედით აღემატება უმაღლესი რადის დეპუტატების თვიურ შემოსავალს.

უკრაინელი ჟურნალისტები ამბობენ, რომ ოდესის ახალი გუბერნატორის ხელფასი, მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, ერთი ბოთლი საყვარელი ღვინო შეიძინოს. აქამდე, სოციალურ ქსელში აქტიურად განიხილებოდა უკრაინელი ჟურნალისტის, ალექსანდრა დუბინსკის პუბლიკაცია, რომელიც Facebook-ზე ატვირთა. სტატიაში დუბინსკი აღწერდა კიევში, სააკაშვილთან შემთხვევით შეხვედრის დეტალებს: **„გუშინ, ერთ-ერთ კიევურ რესტორანში შეგეძლოთ გენახათ მიხეილ სააკაშვილი, პოროშენკოს დეპუტატ მუსტაფა ნაიემომთან ერთად. ისინი მიირთმევდნენ ღვინოს. 1 ბოთლი ასეთი ღვინის ღირებულება 3250 გრივნია“.**

სააკაშვილის ხელფასის გათვალისწინებით, კოლექციის კიდევ უფრო გასამდიდრებლად და მორიგი ელიტური საათის შესაძენად, საქართველოს ექსპრეზიდენტს ფულის შეგროვება მინიმუმ ნახევარ წელზე მეტხანს მოუწევს.

ნინო ლურსმანაშვილი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

შვედეთის სამეფოს ეროვნული დღესასწაული — 6 ივნისი, საქართველოში შვედეთის საელჩოს ეგიდით, თბილისში ორი დღის დაგვიანებით აღინიშნა. ინტერვიუ მის აღმატებულება, ქალბატონ მარტინა ქვიქთან ჩავწერეთ, რომელიც ერთი წელიც არ არის, საქართველოში შვედეთის სამეფოს პირველი დიპლომატის პოსტს იკავებს. ბოლოდროინდელი ერთ-ერთი გლობალური კვლევით დადგინდა, რომ ქართველები ყველაზე მეგობრული, შვედები კი — ყველაზე წესრიგიანი ერია მსოფლიოში. ასე რომ, ამ მხრივ, ალბათ ნამდვილად ღირს, გულდასმით მოვუსმინოთ იმ ხალხის წარმომადგენელს, რომელთა სამშობლო სკანდინავიის ერთ-ერთი ულამაზესი კუნძულოვანი ადგილია ზღვისპირა დედაქალაქით და საოცრად მშვიდი, გაწონასწორებული ტემპერამენტით.

ექსკლუზიური ინტერვიუ შვედეთის ელჩთან

რას ნიშნავს, გქონდეს უფლების უფლება

— როგორც ჩანს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები თქვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიდევ რა სფეროებზე აკეთებს ფოკუსირებას შვედეთის სამეფოს საელჩო?

— შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიბმული პროექტები ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის — ადამიანის უფლებების დაცვის შემადგენელი ნაწილია არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ ამ უფლებების დაცვას ყველასთვის, რადგან იცხოვრო დამოუკიდებლად და გქონდეს უფლება, წარმართო ღირსეული ცხოვრება — ეს ადამიანის ძირეული უფლებაა. ამიტომაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც ზუსტად ისევე აქვთ უფლება, ეს უფლება გამოიყენონ, როგორც თითოეულ ჩვენგანს. ზოგადად, ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

— ევროვიზიის კონკურსში შვედეთის წარმომადგენელმა გაიმარჯვა. რას ნიშნავს ეს თქვენთვის და ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ეს კონკურსი, პოლიტიზებულია?

— ვხედავ, თქვენ გაცილებით მეტად ხართ ჩართული ევროვიზიის ვნებათაღელვაში, ვიდრე მე (იცინის), მაგრამ შვედეთისთვის, ის პოლიტიკური კონკურსი ნამდვილად არ არის. ევროვიზია მუსიკალური შეჯიბრია, ამიტომ დიდად პოლიტიკასთან ვერ დავაკავშირებდი. შვედეთში, შემიძლია გითხრათ, ყველა უყურებს და ძალიან უყვართ. როცა ახლოვდება, ყველგან ამ კონკურსზე საუბრობენ.

— სხვა რომელ უცხო ქვეყანაში გიმსახურიათ და თუ შეადარებთ საქართველოს?

— საქართველოში შარშან სექტემბერში ჩამოვედი. პირველი დიპლომატიური პოსტი საზღვარგარეთ ჩემთვის მოსკოვი იყო — 2000-იანი წლების დასაწყისში, 4 წლით. მერე, მოსკოვიდან დამასკოში, სირიის დედაქალაქში გამიშვეს. შემდეგ, ისრაელში გამაგზავნეს. ძალიან მცირე ვადით ვიყავი ლიბანში. საქართველომდე კი, სომხეთში ვმსახურობდი, სადაც მხოლოდ 6 თვე დავყავი. ასე რომ, სამხრეთ კავკასია არც ისე ნაცნობი იყო ჩემთვის. საქართველოში ჩამოსვლისას, თვალშისაცემია, უშუალო ურთიერთობები. მთავრობა, მისი წევრები, რიგითი ადამიანები... ყველანი ძალიან გულღიები არიან უცხოელ დიპლომატებთან ურთიერთობაში. არასოდეს გექმნება პრობლემა, მათ დაუკავშირდე. ყველა ძალიან გულისხმიერია. ეს კი, რა თქმა უნდა, მუშაობას შესამჩნევად აადვილებს სხვა ქვეყნებთან შედარებით. თბილისი საცხოვრებლად საოცრად სასიამოვნო ქალაქია. თქვენ ყველაფერი გაქვთ: კულტურა, მუსიკა, ლამაზი ძველი უბნები. უამრავი სანახაობაა ჩამოსულებისთვის არამარტო დედაქალაქში, არამედ, ქვეყნის მასშტაბით. გასაოცრად სტუმართმოყვარეები ხართ. ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ აქ ჩამოსულმა უცხოელმა, თავი კომფორტულად იგრძნოს, ისე, როგორც საკუთარ სახლში.

— უკვე მოასწარით, გაცნობოდით ქართულ კულტურას?

— ვცდილობ, ნელ-ნელა გავეცნო. განსაკუთრებით მიზიდავს თქვენი პოლიფონია. ვისურვებდი, მეტი დრო მქონდეს, ვეზიარო თქვენს კულტურას, თუმცა, ვფიქრობ, რამდენიმე წელს დავყოფ აქ, ასე რომ, ყველაფერი წინ მაქვს!

პოროშენკოს „ზაპოი“ აქვს

კიევში ხმა დაირხა, რომ უკრაინის პრეზიდენტს, უკვე კვირაზე მეტია „ზაპოი“ აქვს. სწორედ ალკოჰოლის გამო შექმნილი პრობლემა გახდა იმის მიზეზი, რომ პოროშენკო ვერ დაესწრო 12 ივნისს, აზერბაიჯანში ევროპული თამაშების გახსნის ცერემონიას. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს, ისრაელის ტელეარხ Arutz-ზე დაყრდნობით. თავის მხრივ, ისრაელის მედიასაშუალება ეყრდნობა წყაროს ინფორმაციას. წყარო კი, როგორც ამბობენ, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი წარმომადგენელია. იგი, გასაგები მიზეზების გამო ვინაობას არ ამხელს და აცხადებს: **„პოროშენკოს, უკვე კვირაა, „ზაპოი“ აქვს. აქვს „გამონათების პერიოდებიც“, მაგრამ ისინი მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება. ეს უკვე სერიოზული პრობლემაა“.**



ნარკომანებს ტელევიზორით განკურნავენ

აღმოჩნდა, რომ რუსეთის ტელევიზია არა მხოლოდ „პროპაგანდისტია“, არამედ პანაცეაც არის ყველა უბედურებისა და დაავადებისგან. ქვეყნის ხელისუფლებამ ნარკომანიასთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა. ამ საშინელი სოციალური მოვლენის დასამარცხებლად, სულაც არ არის საჭირო მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და „ვიდეოაბებიც“ სრულიად საკმარისია. ამიერიდან რუს ნარკომანებს საკუთარი ტელეარხი ექნებათ — რეაბილიტაცია-ტვ, რომლითაც ისეთი პროგრამები გადაიცემა, რომელიც, არხის მესვეურთა ჩანაფიქრით, ნარკოდამოკიდებულებს გამოჯანმრთელებაში დაეხმარება. მკურნალობა ე.წ. ვიდეოაბების ანუ რგოლების მეშვეობით მოხდება, რომელშიც ნარკომანებს მოუთხრობენ, როგორც ებრძოლონ ამ დამღუპველ მავნე ჩვევას. გარდა ამისა, აპირებენ სამიზნე აუდიტორია ლოცვით, ქადაგებითა და საუბრებით განკურნონ. ჯერჯერობით ტელეარხი სატესტო რეჟიმში მუშაობს და ყველა ნარკოდამოკიდებულს სოციალური ქსელებით მოუწოდებს, პროექტს შემოუერთდეს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, რუსეთში დღეისთვის 8 მილიონი ნარკომანია.



წიგნი ტუალეტის ქაღალდზე

ამომავალი მზის ქვეყანაში ლიტერატურის გავრცელების უჩვეულო და მეტად ორიგინალური ხერხი გამონახეს. იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა, მწერლობის პოპულარიზაციის მიზნით, საშინელებათა ჟანრის ნაწარმოები, რომელსაც „წვეთი“ ჰქვია, ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდოს და საექსპორტოდაც გაუშვას. ნაწარმოების ავტორი ქვეყანაში ცნობილი მწერალი კოძი სუძუკია. თხზულება 9 თავისგან შედგება, ის ინგლისურადაა ნათარგმი და ტუალეტის ქაღალდის 90-მეტრიან გრაგნილზე ეტევა. თავდაპირველად ის საზღვარგარეთ, აეროპორტებში, სუვენირების მაღაზიებში გაიყიდება, შემდეგ კი მასობრივ გაყიდვაშიც გამოუშვებენ. სუძუკის საშინელებათა ჟანრის ნაწარმოებები საკმაოდ პოპულარულია იაპონიაში, ახალი მოთხრობა კი ავტორმა სპეციალურად „ტუალეტის ქაღალდის“ პროექტისთვის დაწერა. იდეის ხელშემწყობი ქვეყნის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროა. მისი წარმომადგენლების განცხადებით, თხზულებიანი ტუალეტის ქაღალდი სულ რაღაც 2,5 დოლარი ეღირება.

სათვალეს მაღაზიაში ფეუსგლეულად ფეარჩევთ

ცნობილმა ამერიკულმა სავაჭრო ფირმამ Bloomingsdale შოპინგის სფეროში ახალი, უნიკალური გამოგონება წარმოადგინა. ამიერიდან მსურველს შეუძლია მხოლოდ მაღაზიის ვიტრაჟზე გამოტანილ ციფრულ ეკრანს შეხედოს და ჭკვიანი მანქანა მაშინვე „მოარგებს“ მოწონებულ მზის სათვალეს. თანაც სხვადასხვა რაკურსიდან შეახედებს, საკუთარი თავი უცხო თვალითაც რომ შეაფასოს. ასე რომ, მაღაზიაში მზისგან დამცავი ათობით აქსესუარის მოსინჯვის ნაცვლად, ახლა საკმარისია მხოლოდ ვიტრაჟს მიუახლოვდეთ — ის მომენტალურად დააფიქსირებს თქვენს ვირტუალურ სახეზე ამორჩეულ სათვალეს. იქვე პროფილსაც და ანფასსაც შეიმოწმებთ და დამოუკიდებლად, რჩევების გარეშე გადაწყვეტთ, ღირს თუ არა ამა თუ იმ მოდელის შეძენა.

102 წლის ქალმა სადოქტორო დაიცვა

გერმანიის მცხოვრებმა 102 წლის ქალბატონმა, ინგებორგ სილმ-რაპაპორტმა საოდქტორო დისერტაცია დაიცვა 80 წლის შემდეგ, რადგან ნაცისტურ გერმანიაში არ მისცეს ნება, ჩაებარებინა გამოცდები სამეცნიერო ხარისხის მისაღებად. სამეცნიერო ხელმძღვანელმა მაშინ ამ ქალბატონს მისწერა, რომ სიამოვნებით მიიღებდა დისერტაციას, რომელიც დიფტერიას ეძღვნებოდა, რომ არა კანონი რასის შესახებ, რაც ამის გაკეთებას უკრძალავდა. რაპაპორტმა, რომელიც დედით ებრაელია, როგორც იქნა გაიარა დაცვის ზეპირი ნაწილი და სამეცნიერო ხარისხი მიიღო ჰამბურგის უნივერსიტეტში. როგორც ამბობენ, დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ინგებორგა 1938 წელს წავიდა აშშ-ში ემიგრაციაში, მაგრამ 50-იან წლებში დაბრუნდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ბერლინში პედიატრიის პროფესორად მუშაობდა.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					7	2	4	
		5		9		3		
		3	6		2			
		6			5		9	
2								5
	8		4			6		
			8		6	9		
		1		3		5		
	4	8	5					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		5			8			9
3	6	4	5		9		8	
		8			4			
	3					5		4
				4				
8		7					1	
			4			7		
	7		8		1	3	9	6
9			3			2		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5	9					1	6
6			2					5
						4		
				3	6		5	2
	6						9	
3	8		5	2				
		6						
2					1			9
1	7					8	6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				4	1		2	9
						5		
7			3				8	4
	6		5					7
		3	8	7	2	1		
9					3		5	
1	2				7			8
		4						
3	7		4	1				

სილამაზის უჩვეულო კონკურსები

სილამაზის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური კონკურსი ტაილანდში იმართება. ამ ღონისძიებას ორი ძლიერი სოციალური გზავნილი აქვს — სპილოების გაქრობა და სილამაზის სტანდარტების საზღვრების გაფართოება. გამარჯვებულის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი კონკურსანტის წონაა — ის 90 კილოგრამზე ნაკლები არ უნდა იყოს. მინდა, ხალხი ჩემზე მხოლოდ წონის გამო ლაპარაკობდეს. ბევრი თვლის, რომ მახინჯი ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ქონიანი ვარ, — ამბობს სტუდენტი ტარნარინ ხანსავარგი, რომელიც ერთ-ერთი ასეთი კონკურსის გამარჯვებულია და 110 კილოგრამს იწონის. მას „მის სპილოს“ ტიტული მიანიჭეს და პრიზად 1300 დოლარიც გადასცეს. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონია ბანგკოკის ზოოპარკში, სპილოების ვოლიერში ჩატარდა.

ტაილანდში კიდევ ერთი მსგავსი კონკურსი იმართება — „მის ტიფანი“. ეს ტრანსსექსუალების სილამაზის კონკურსია და 2004 წლის შემდეგ, ყოველწლიურად ტარდება საკურორტო ქალაქ პატაიაში. კონკურსი საკმაოდ პოპულარიულია და 15 მილიონამდე მაყურებელი ჰყავს.

„მის ჰოლოკოსტგადატანილი“ — ასე ჰქვია კიდევ ერთ სილამაზის კონკურსს, რომელიც ისრაელში, ქალაქ ჰაიფაში პირველად 2012 წელს ჩატარდა. კონკურსში დაახლოებით 300-მდე ასაკოვანი ქალბატონი მონაწილეობდა, ფინალში კი 14 ებრაელი მოხუცი გავიდა, რომელთა ასაკი 74-დან 97 წლამდე იყო. კონკურსის გამარჯვებული 78 წლის ჰავა ჰერშკოვიტცი გახდა. ამ ღონისძიებას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. მათი აზრით, არ შეიძლება შეაფასო იმ ქალების სილამაზე, რომელთაც ჰოლოკოსტის საშინელება გადაიტანეს. თუმცა, ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად არა მხოლოდ კონკურსანტების სილამაზეს, არამედ ყოველი მათგანის პირად ისტორიებსაც ითვალისწინებდნენ და ღონისძიებაც, პირველ რიგში, ამ ქალებისთვის, მათთან ურთიერთობისა და მათი გამხიარულებისთვის ტარდებაო.

2009 წელს უნგრეთშიც გაიმართა სილამაზის უცნაური კონკურსი, სახელწოდებით „მის პლასტიკური ქირურგია“. ადვილი მისახვედრია, რომ მასში მონაწილეობა ნებისმიერი ასაკის სუსტი სქესის მხოლოდ იმ წარმომადგენლებს შეეძლოთ, რომელთაც პლასტიკური ოპერაცია ჰქონდათ გაკეთებული. კონკურსისას ჟიური არა მხოლოდ მონაწილეთა სილამაზეს აფასებდა, არამე ქირურგიული ჩარევის ხარისხსაც. ამ უჩვეულო პაექრობაში 2009 წელს გამარჯვებული და უნგრეთის „მის პლასტიკური ქირურგიის “ ტიტულის მფლობელი 22 წლის რეკა ურბანი გახდა.

„მის პატიმარი“ — აშშ-ში, ყველაზე დიდ ქალთა ციხეში კოლუმბიაში, ყოველწლიურად ტარდება. მონაწილეებს აფასებენ გარეგნობის, ზოგადი განათლებისა და საპატიმროში კარგი ყოფაქცევის გამო. აღსანიშნავია, რომ კონკურსი ტელეეთერით გადაიცემა და მას საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. ის არაფრით ჩამოუვარდება ბევრ პოპულარულ ამერიკულ ტელეშოუს. ბოლო დროს პატიმრების სილამაზის კონკურსებს ატარებენ რუსეთში, ლატვიასა და ბრაზილიაშიც.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	1	4	9	7	6	5	3	2
6	3	2	5	1	8	9	7	4
7	9	5	4	3	2	1	8	6
2	8	1	6	9	7	4	5	3
5	7	9	8	4	3	6	2	1
4	6	3	2	5	1	8	9	7
3	2	8	1	6	9	7	4	5
1	5	7	3	8	4	2	6	9
9	4	6	7	2	5	3	1	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	6	3	1	9	2	4	8	7
8	9	2	7	6	4	1	5	3
7	4	1	3	8	5	2	6	9
3	2	9	6	1	8	7	4	5
4	8	7	9	5	3	6	2	1
1	5	6	4	2	7	3	9	8
2	1	8	5	7	6	9	3	4
9	3	5	2	4	1	8	7	6
6	7	4	8	3	9	5	1	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	1	9	7	8	6	5	3	4
8	7	3	5	2	4	1	9	6
6	5	4	9	3	1	8	2	7
5	4	2	3	1	8	7	6	9
7	9	1	2	6	5	4	8	3
3	8	6	4	7	9	2	1	5
4	6	8	1	9	7	3	5	2
1	3	5	6	4	2	9	7	8
9	2	7	8	5	3	6	4	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	3	1	9	6	8	5	4	2
4	6	5	3	2	1	9	8	7
2	9	8	5	7	4	3	1	6
5	4	3	2	1	9	7	6	8
1	2	7	8	5	6	4	3	9
9	8	6	7	4	3	2	5	1
8	5	4	6	9	2	1	7	3
3	7	2	1	8	5	6	9	4
6	1	9	4	3	7	8	2	5

მე-10 გვერდი: 1. ბანჯული; 2. ამაო; 3. ჯოჯოხეთი; 4. ლორნეტი; 5. ვილნიუსი; 6. იდები; 7. ნელსონი; 8. უტოპია; 9. ფანჯარა; 10. ისარი; 11. ირაო; 12. შეიხი; 13. ბერლიოზი; 14. მირკანი; 15. ნუარე; 16. არინა; 17. მიომა; 18. ჩიხი; 19. ტრესტი; 20. სიმონია; 21. „მარიო“; 22. სიათა; 23. ოუენი; 24. ვივიპარია; 25. „ოლივიე“; 26. ბრაუნი; 27. სიუ; 28. ვენახი; 29. ვისკი; 30. პაიკი; 31. რონა; 32. ელე; 33. ურნა; 34. გურუ; 35. ენოტი; 36. აკელა; 37. ადესა; 38. „ავეო“; 39. ორმო; 40. გუი; 41. უეფა; 42. ნისლი; 43. შუ; 44. კარანი; 45. დავარი; 46. ხაიში; 47. ნაზიბროლა; 48. კანა; 49. ბირი; 50. ზილი; 51. ქიმი; 52. ოცი; 53. ანი; 54. სტეინიცი; 55. ვერნი; 56. ფა; 57. მზე; 58. რქა; 59. მურილიო; 60. მარულა; 61. დელფინი; 62. ოინა.

1. დღეის წინა დღეს ანუ ...
2. ყაჩაღთა ჯგუფი
3.აჭარული ხალხური ცეკვა
4.მოძრავი ცირკის კარავი
5.ტარიელის მიჯნური ...-დარეჯანი
6. სამურაების ქცევის კოდექსი
7.თამბაქოს ბოლის ჩაშვება ფილტვებში
8. ევროპის ჯუჯა სახელწმიფო
9. მოსამართლის მოსასხამი
10. ეგვიპტის დედოფალი
11. კოსმეტიკურ-ჰიგიენური საშუალება
12. ანჩხლი, კაპასი დედაკაცი
13. ჰიტლერის მეუღლის სახელი
14. სასვენი ნიშანი
15. დედამიწასთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
16. ძვირფასმერ-ქნიანი ხე
17.ბაღის ყვავილი
18.თვითმფრ. სადგომი
19.ფაშისტთა საბრ. რაკეტა
20.პანტაგრუელის მამა
21. იაპონიის ოლიმპიური ქალაქი
22. კურორტი რაჭაში
23. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა
24. მომკილი თავთავის კონა
25. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული
26. ხელოვნების დარგი
27. ნიუ-იორკის შტატის დედაქალაქი
28.ქართველი მოჭადრაკე ქალი, დიდოსტატი
29. საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი
30. ფინანსური შემოწმება
31. ქონდრისკაცი ევროპულ მითოლოგიაში
32. გემის კიბე
33. დროებით გაბატონებული გემოვნება
34. მთიანი მხარე რუსეთში
35. პირამიდების ქალაქი ეგვიპტეში
36. ... ორბელიანი „დათა თუთაშხიაში“
37. მსახიობ ჰოპკინსის სახელი
38.რუსეთის ფულის ერთეული
39. ჩეხური ავტომარკა
40.სისხლისმსმელი არსება
41. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
42. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
43.გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი
44. რუსული ყველგან-მავალი ავტომობილი
45. პიპინია ერისთავის უმცროსი შვილიშვილი
46. ფიზიკოსი ... ნიუტონი
47. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
48.„ზევით!“, „აწიე“! პორტის მუშათა ჟარგონზე
49.პატარა ჰერმეტული ჭურჭელი წამლისათვის
50.ლონდონის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა
51. ქუთაისის ძველი სახელწოდება
52. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
53. აკაკი ხორავას ბოლო კინოროლი
54. ქალაქი აშშ-ში
55. მოულოდნელი შემოწმება
56. აზნაურის ტიტული ესპანეთში
57. მოჭადრაკე ... პრამლინგი
58. ხორბლის მარცვლის ბუდე
59. წინაპრებისაგან გადმოცემული ჩვეულება
60. უნგრული ლიტერატურის კლასიკოსი მორ ...
61. გაზაფხულის ყვავილი
62.რუსი ილუზიონისტი
63.დედის ან მამის დედა
64. მთა, სადაც იესოს ფერისცვალება მოხდა
65. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
66. მაუგლის მეგობარი პითონი
67. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
68. ტაივანის დედაქალაქი
69. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
70. მწერალი ... მორჩილაძე
71. ესპერანტოს ვარიანტი
72. ჯეიმს ბონდის როლის ერთ-ერთი შემსრულებელი
73. ზღაპრული შინაარსის ოგვი
74. ბეთჰოვენის ოპერა
75. დათვის ნაშიერი
76. ძროხის ნობათი
77. სამი წერტილი კამათელზე
78. მთის მტაცებელი თუთიყუში
79. ოგივეა, რაც ნაცია
80. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
81. შიშველი სხეული ფერწერაში
82. ცხენის კუდის ბეწვი
83. მტკნარი წყლის დელფინი
84. ჯამის ფორმის სასმისი
85. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
86. პერსევსის დედა
87.სარწყავად გაყვანილი პატარა არხი
88. მითოლოგიური კვანძის ავტორი

ბავშვებს საკუთარი სასტუმრო გაუსნეს

ესპანელ პატარებსა და ქვეყნის სტუმრებს ამიერიდან საკუთარი სასტუმრო ექნებათ. ეს 4-ვარსკვლავიანი ოტელია და დიზაინში განსაკუთრებული ყურადღება გართობასა და სათამაშოებს ეთმობა. ეს პირველი სასტუმროა ესპანეთში, რომელიც სპეციალურად პატარა კლიენტებისთვის აშენდა. მათ შეუძლიათ თემატურად გაფორმებულ 21 ნომერში მოისვენონ. ზოგი მათგანი აუღებელი ციხესიმაგრის სტილშია, ზოგიც პრინცესების ნამდვილ სასახლეს ჰგავს, სხვა ნომრებში უამრავი რბილი სათამაშოა, ოტელის კიბეებზე კი სათამაშო ჯარისკაცები დგანან, რომლებიც სართულებს „იცავენ“. ერთი ნომრის ფასი 110 ევროა. მასში ცხოვრება ერთდროულად 4 ადამიანს შეუძლია. აღსანიშნავია, რომ სასტუმროს სპეციალური საბავშვო მენიუ აქვს. გარდა ამისა, პატარა კლიენტებს აქ ანიმაციური ფილმების სეანსებსაც სთავაზობენ და სათამაშოების მუზეუმსაც ათვალიერებინებენ. აქვე ბავშვებს ძველი სათამაშოების ნახვის შესაძლებლობა აქვთ და მათი ისტორიის მოსმენაც შეუძლიათ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.